ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

akhalitaoba.ge

პარასკევი, 27 მაისი, 2022

№103 (8881)

ფასი: 80 თეთრი



გვ.5

**ხაშურში მკვლელობისთვის 1 პირს ბრალი წაეყენა**

**საკაშვილის მოსამართლე ნინო ჩახნაშვილმა პენიტენციურ სამსახურს დაავალა, სააკაშვილთან ცენტრ „ემპათიას“ ექსპერტები დაუშვას**




გვ.5

# „ჩვენ ვიმსახურებთ ევროკავშირს, ივანიშვილი — სანქციებს“




გვ.2

ლაშა ჩხარტიშვილი: „მთელმა მსოფლიომ დაიწყო გამიჯვნა საქართველოსი და ბიძინა ივანიშვილის“



**„მე მომხრე ვარ, ერთი დიდი გამაფრთხილებელი აქცია, გამოსვლა გაიმართოს თავისუფლების მოედანზე ან რუსთაველზე, რათა კიდევ ერთხელ დააფიქსიროს საზოგადოებამ თავისი განწყობა“**

**ხათუნა სამნიძე: „ხელისუფლება ყველაფერს აკეთებს, რომ დავშორდეთ ევროკავშირის წევრობის კანდიდატობის პერსპექტივას“**



გვ.3



გვ.3

**პრეზიდენტი: „ჩვენი ევროპული მომავლის გასაღებს 4 ძირითადი ფასეულობა წარმოადგენს“**




გვ.3

**აშშ-ის საელჩო კობახიძის ბრალდებებს პასუხობს**

**17 ივლისს დაგეგმილი ე. წ. რეფერენდუმის წინააღმდეგ კრემლი და ცხინვალი ამხედრდნენ**



გვ.4

**ჯოზეფ ბაიდენი: „ქართველი და ამერიკელი ხალხი ერთმანეთთან ძლიერ არიან დაკავშირებულნი დამოუკიდებელი სულისკვეთებით“**



გვ.2



გვ.3

**შალვა პაპუაშვილი: „ფასი, რომელიც ჩვენმა ქვეყანამ თავისუფლებისა და ევროპული მომავლისთვის ბრძოლაში გაიღო, ძალიან დიდია“**

1993230720223

5 პოლონეთში ზუგდიდელი ქალი ქმარმა მოკლა

2 მამუკა ხაზარაძის შემდეგ ყველაზე მდიდარი ბანკირის სტატუსს ვახტანგ ბუცხრიკიძე ინარჩუნებს

5 თაღლითურად დაეუფლა 1.288.000 ლარს

6 ლონბასის სეპარატისტი ლიდერი „სამხედრო ოპერაციის“ დაჩქარებას ითხოვს

# „ჩვენ ვიმსახურებთ ევროკავშირს, ივანიშვილი — სანქციებს“

## ლაშა ჩხარტიშვილი: „მთელმა მსოფლიომ დაიწყო გამიჯვნა საქართველოსი და ბიძინა ივანიშვილის“

ნათია ხურცილავა



**„ლეიბორისტული პარტიის“ ერთ-ერთი ლიდერი ლაშა ჩხარტიშვილი „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.**

***– ლაშა, ევროკავშირის ელჩმა განაცხადა, რომ 2-3 კვირაში პასუხი გახდება ცნობილი, მოგვცემენ თუ არა წევრი ქვეყნის სტატუს. როგორია თქვენი მოლოდინი?***

– რა თქმა უნდა, მიუხედავად ყველაფრისა, მიუხედავად იმისა, რომ ივანიშვილის ხელისუფლება ყველაზე ნაკლებად იმსახურებს ამ სტატუსს, ამას იმსახურებს ქართველი ხალხი და საქართველო. ევროკავშირმა არ უნდა უღალატოს ქართველ ხალხსა და მის არჩევანს. ეს არის საქართველოს გაცნობიერებული არჩევანი საუკუნეების მანძილზე და არა ერთი ან რამდენიმე ათეული წლის წინანდელი არჩევანი. ამიტომ, ვფიქრობ, რომ ჩვენ ამ სტატუსს ვიმსახურებთ.

**„მე მომხრე ვარ, ერთი დიდი გამაფრთხილებელი აქცია, გამოსვლა გაიმართოს თავისუფლების მოედანზე ან რუსთაველზე, რათა კიდევ ერთხელ დააფიქსიროს საზოგადოებამ თავისი განწყობა“**

რაც შეეხება მოლოდინებს, ვფიქრობ, რომ გარკვეული პირობებით ჩვენ მივიღებთ ევროკავშირის წევრი ქვეყნის სტატუსს. რა პირობები იქნება ეს, შემიძლია ახლავე გითხრათ: რეალური სასამართლო რეფორმა, პოლიტიკური ნიშნით დაკავებული ხალხის განთავისუფლება, რეალური დემოკრატია და არა ავტოკრატია, რომელიც ივანიშვილმა გაგვიფორმა და როგორც უნდა, ისე ჭრის და კერავს.

ასე ვიტყოდი, კანდიდატის სტატუსს იმსახურებს ქართველი ხალხი – სანქციებს კი ივანიშვილი. მგონია, რომ სწორედ აქეთკენ მიდის ყველაფერი. უკვე მთელმა მსოფლიომ დაიწყო გამიჯვნა ქართველი ხალხისა და ბიძინა ივანიშვილის, მისი ხელისუფლების, უფრო ვიტყოდი, მარიონეტების. ახლა ეს ბევრად უფრო თამამად გვესმის ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტიდან, ევროკავშირიდან და ყველა იმ ცივილიზებული სამყაროდან, სადაც ავტოკრატების ადგილი არ არის. უკვე ყველა ცალ-ცალკე განიხილავს ივანიშვილსა და ხალხს, რადგან ყველა კარგად ხედავს, რომ ივანიშვილი და მისი ხელისუფლება ხალხის ნების საწინააღმდეგოდ პუტინისა და ლუკაშენკოსკენ მიგვაქანებს.

***– როგორ ფიქრობთ, თუ ვერ მივიღებთ კანდიდატი ქვეყნის სტატუსს, როგორი შეიძლება ამაზე ხალხის რეაქცია იყოს?***

– ეს ძალიან მნიშვნელოვანი საკითხია. შემიძლია გითხრათ, რომ ამაზე იქნება მთლიანად დამოკიდებული ამ ქვეყნის ხვალინდელი დღე – ეგუება ხალხი ამ ხელისუფლებას, რომელიც პუტინის რუსეთისკენ მიგვაქანებს თუ არ ეგუება და უარს ეუბნება. მე იმედი მაქვს, რომ ხალხი აუცილებლად გამოვა ქუჩაში და ეს არ იქნება მშვიდად გამოსვლა, გაპროტესტება, ენერგიის დაცლა და მერე უკვე სახლებში წასვლა. ეს იქნება სერიოზული პროტესტი. სერიოზული წინააღმდეგო და უარი იმ პოლიტიკაზე, რომელსაც „ქართული ოცნება“ ატარებს.

***– ოპოზიციის როლი რა უნდა იყოს?***

– როგორი იქნება იმ ოპოზიციის როლი, რომელიც ივანიშვილის ოფისიდან ვერ გამოსულა და პარლამენტის კარებში თუ სავარძლებზეა დღემდე ჩაჭედილი. ჩვენ, „ლეიბორისტებმა“, უარი ვთქვით მანდატზე, მიუხედავად იმისა, რომ პარტიას ეს ძალიან ძვირი დაუჯდა, დაფინანსება შეგვიწყდა.

მე მჯერა, რომ ევროკავშირი ბრძნულ გადაწყვეტილებას მიიღებს და არ დაუშვებს ისტორიულ და გეოპოლიტიკურ შეცდომას და ამ სტატუსს თუნდაც რუსეთის გზავნილად მაინც მოგვცემს, მაგრამ თუ ეს ასე არ მოხდა, მაშინ ეს იქნება საუკუნის დანაშაული, რომელსაც მხოლოდ ერთი ავტორი ეყოლება და ეს „ქართული ოცნება“ და ბიძინა ივანიშვილი იქნება.

მე მაინც მგონია, რომ ამ ქვეყნის ბედს ქართველი ხალხი წყვეტს. საზოგადოების რეაქცია ამაზე უმკაცრესი იქნება. ეს არ იქნება ხელისუფლებისთვის მარტივი გასეირნება, მარტივად მოსაგვარებელი თუ ასახსნელი ამბავი. ეს უნდა გააცნობიეროს ივანიშვილმა პირველ რიგში.

სიმართლე გითხრათ, მე მომხრე ვარ, ერთი დიდი გამაფრთხილებელი აქცია, გამოსვლა გაიმართოს თავისუფლების მოედანზე ან რუსთაველზე, რათა კიდევ ერთხელ დააფიქსიროს საზოგადოებამ თავისი განწყობა, მაგრამ ამას ვერ მოახერხებს პარლამენტიდან ვერ გამოსული ოპოზიცია. ოპოზიცია, რომელიც მხოლოდ თავის ბედზე ზრუნავს და არა ამ ქვეყანასა და მისი მოქალაქეებზე. პირველ რიგში, ასეთი აქცია რომ გამართოს ოპოზიციამ, ხალხის ნდობა უნდა დაიბრუნოს.

***– როგორ?***

– პარლამენტი უნდა დატოვოს, ეს არის პირველი რიგის ამოცანა. უფრო მკაფიო და თანმიმდევრული უნდა გახდეს თავის ნაბიჯებში. მეორე, ივანიშვილის დასანქცირების გარეშე ამ ბრძოლაში გარდატეხის შეტანა შეუძლებელი იქნება.

თუ არ მოგვანიჭებენ კანდიდატი ქვეყნის სტატუსს, არ გამოვრიცხავ სტიქიურ გამოსვლებს, რომლის მართვაც ძალიან გაუჭირდება უკვე ოპოზიციას, რადგან მას ხალხში ნდობა აქვს დაკარგული. ძალიან რთული და მძიმე პროცესების მოწმენი შეიძლება გავხდეთ. ამიტომ, მე მაინც მჯერა, რომ ჩვენ სტატუსს აუცილებლად მივიღებთ. ოღონდ წინაპირობებით, დათქმებით. დღეს ოპოზიცია ივანიშვილისა და მისი მთავრობის ლუსტრაციით უნდა იყოს დაკავებული და არა მისი „გაპრავებით“, რომელსაც, სამწუხაროდ, საპარლამენტო ოპოზიცია ჩადის, ამიტომაც აქვს ხალხში ნდობა დაკარგული. ისინი ბუტაფორის როლს ასრულებენ ივანიშვილის სუფრაზე. თუ არ დასრულდება ამ როლის თამაში, ძალიან მძიმე პროცესები შეიძლება განვითარდეს.

# ომმა უკრაინის ეკონომიკას 600 მილიარდი დოლარის ოდენობის ზიანი მიაყენა

უკრაინის მინისტრთა კაბინეტმა ომის გამო უკრაინის ეკონომიკას მილიარდობით ზიანი უკვე დაითვალა.

როგორც ქვეყნის პრემიერ-მინისტრმა დენის შმიგალმა აღნიშნა, დანაკარგები ყოველდღიურად იზრდება. მისი თქმით, რუსეთის ფედერაციის მიერ გაჩაღებულმა სრულმასშტაბიანმა ომმა უკრაინის ეკონომიკას 600 მილიარდი დოლარის ოდენობის ზიანი მიაყენა. ომის ყოველდღეს მატულობს დანაკარგების რაოდენობა.

ამის შესახებ პრემიერ-მინისტრმა დენის შმიგალმა დავოსში მსოფლიო ეკონომიკურ ფორუმზე განაცხადა. მან აღნიშნა, რომ უკრაინა რამდენიმე ეტაპად უნდა აღდგეს.

– პირველი არის 200-ზე მეტი ქარხნისა და მსხვილი საწარმოს, 12 აეროპორტის და 1000-ზე მეტი საგანმანათლებლო დაწესებულების, ასევე თითქმის 300 ხიდისა და ესტაკადის აღდგენა, რომლებიც დაზიანდა, განადგურდა ან დაიპყრო რუსეთის უკრაინის წინააღმდეგ ომის გამო საომარი მოქმედებების შედეგად, – თქვა შმიგალმა.

ამასთან, მან აღნიშნა, რომ უკრაინაში, საომარი მოქმედებების გამო, დაზიანდა დაახლოებით 25 ათასი კილომეტრი გზა, განადგურდა 40 მილიონი კვადრატული მეტრი და ა.შ., რაც არ არის საბოლოო დანაკარგი.

19 მაისის მდგომარეობით, უკრაინის ინფრასტრუქტურის პირდაპირი დოკუმენტირებული ზარალის ჯამური ოდენობა თითქმის 97,4 მილიარდი დოლარია, ანუ 2,9 ტრილიონი გრივნა.

# ვალერი ზალუჟნი: „გილოცავთ საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს ძმებო! ჩვენ ერთად გავიმარჯვებთ!“

უკრაინის შეიარაღებული ძალების მთავარსარდალი, ვალერი ზალუჟნი საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს ულოცავს.

„გილოცავთ საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს ძმებო! ჩვენ ერთად გავიმარჯვებთ!“ – ამის შესახებ იგი სოციალურ ქსელში წერს.

უკრაინის შეიარაღებული ძალების მთავარსარდალი საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს „ფეისბუქის“ საკუთარ გვერდზე ქართულ და უკრაინულ ენებზე ულოცავს.

# მამუკა ხაზარაძის შემდეგ ყველაზე მდიდარი ბანკირის სტატუსს ვახტანგ ბუცხრიკიძე ინარჩუნებს



საქართველოში მოქმედმა ორმა უმსხვილესმა კომერციულმა ბანკმა 2021 წელს მენეჯმენტზე ჯამურად დაახლოებით 75 მლნ ლარი დახარჯა.

2021 წლის ანგარიშის მიხედვით, საქართველოს ბანკმა დირექტორატს 42,278,859 ლარი, სამეთვალყურეო საბჭოს 2,890,607 ლარი, ხოლო სხვა მატერიალური რისკების ამღებ პირებს 4,276,978 ლარი გადაუხადა. რაც სხვა ბანკებთან შედარებით, მენეჯმენტზე დახარჯული ყველაზე მაღალი მაჩვენებელია.

გარდა ამისა, საქართველოს ბანკის 2021 ფინანსური წლის განმავლობაში გადახდილი გადავადებული ანაზღაურების მთლიანი მოცულობა დირექტორატის შემთხვევაში 13,442,067 ლარს, ხოლო სხვა მატერიალური რისკების ამღებ პირებისთვის 1,988,773 ლარს შეადგენდა.

ბანკის უმაღლესი მენეჯმენტი, რომელიც 14 ძირითადი პირისგან შედგება (ნილ ჯანინი, ალასდაირ ბრიჩი, თამაზ გიორგაძე, ჰანნა ლოიკაინენი, ჯონათან მუირი, სესილ დაერ ქუილენ, ვერონიკ მაკქეროლ, მარიამ მეღვინეთუხუცესი, არჩილ გაჩეჩილაძე, სულხან გვალია, გიორგი ჭილაძე, ლევან ყულიჯანიშვილი, მიხეილ გომართელი, ეთერ ირემაძე, ზურაბ ქოქოსაძე, ვახტანგ ბობოხიძე, სხვა მატერიალური რისკის ამღები პირები) 1,669,212 აქციას ფლობენ. აქედან ყველაზე მეტი 442,234 აქცია გენერალური დირექტორის არჩილ გაჩეჩილაძის მფლობელობაშია, რომელთა ღირებულება 6.5 მლნ სტერლინგამდეა. მეორე ადგილზე გიორგი ჭილაძე 335,272 აქციით, ხოლო მესამეზე მიხეილ გომართელი 305,141 აქციით.

მართალია საქართველოს ბანკმა მენეჯმენტზე ყველაზე მეტი თანხა დახარჯა, თუმცა ყველაზე მდიდარი ბანკირის სტატუსს კვლავ თიბისი ბანკის წარმომადგენელი იკავებს, მამუკა ხაზარაძის შემდეგ ეს სტატუსი, 2021 წლის ანგარიშების მიხედვითაც, ვახტანგ ბუცხრიკიძეს ერგო.

2021 წლის მონაცემებით, თიბისი ბანკმა დირექტორატს 25,717,987 ლარი, სამეთვალყურეო საბჭოს 1,808,960 ლარი, ხოლო სხვა მატერიალური რისკების ამღებ პირებს 764,486 ლარი გადაუხადა.

გარდა ამისა, თიბისი ბანკის 2021 ფინანსური წლის განმავლობაში გადახდილი გადავადებული ანაზღაურების მთლიანი მოცულობა დირექტორატის შემთხვევაში 12,220,215 ლარს, ხოლო სხვა მატერიალური რისკების ამღებ პირებისთვის 286,307 ლარს უდრის.

ბანკის უმაღლესი მენეჯმენტი, რომელიც 6 ძირითადი პირისგან შედგება (ნინო მასურაშვილი, გიორგი თხელიძე, ნიკოლოზ ქურდიანი, ვახტანგ ბუცხრიკიძე, თორნიკე გოგიჩაიშვილი, გიორგი მეგრელიშვილი, სხვა მატერიალური რისკის ამღები პირები) 1,585,428 აქციას ფლობს. აქედან ყველაზე მეტი 1,026,263 აქცია ვახტანგ ბუცხრიკიძის მფლობელობაშია, რომელთა ღირებულება 15 მლნ სტერლინგს აღწევს. მეორე ადგილზეა ნინო მასურაშვილი 302,752 აქციით, მესამეზე კი გიორგი თხელიძე 127,317 აქციით.

# ჯოზეფ ბაიდენი: „ქართველი და ამერიკელი ხალხი ერთმანეთთან ძლიერ არიან დაკავშირებულნი დამოუკიდებელი სულისკვეთებით“



ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი ჯოზეფ ბაიდენი საქართველოს პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილს და ქართველ ხალხს დამოუკიდებლობის დღეს ულოცავს.

როგორც აშშ-ის პრეზიდენტის მისალოც წერილშია აღნიშნული, ამერიკის შეერთებული შტატები აფასებს გლობალური უსაფრთხოების საქმეში საქართველოს მიერ შეტანილ წვლილს.

„ბატონო პრემიერ-მინისტრო! მსურს თქვენ და ქართველს ერს 26 მაისს დამოუკიდებლობის დღე მოგილოცოთ. ქართველი და ამერიკელი ხალხი ერთმანეთთან ძლიერ არიან დაკავშირებულნი დამოუკიდებელი სულისკვეთებით და თავისუფლებისადმი ზიარი ერთგულებით.

საქართველომ თავისი მტკიცე მიზანდასახულობა აჩვენა მსოფლიოს მასშტაბით თავისუფლების დაცვისას. დიდად ვაფასებთ თქვენ მიერ გლობალური უსაფრთხოების საქმეში შეტანილ წვლილს ჩვენი 30-წლიანი ორმხრივი ურთიერთობების განმავლობაში, მათ შორის ავღანეთში ჩვენი საერთო ვალდებულებისა და თავგანწირვის კონტექსტში.

საქართველოს დამოუკიდებლობას აღვნიშნავთ, თუმცა აქვე ვაცნობიერებთ იმ ფაქტს, რომ რუსეთის მიერ საქართველოს ტერიტორიების 20 პროცენტის ოკუპაცია ბევრ ქართველს უზღუდავს ფუნდამენტური უფლებებითა და თავისუფლებით სარგებლობას. შეერთებული შტატები განაგრძობს საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის მხარდაჭერას საერთაშორისოდ აღიარებულ საზღვრებში და რუსეთს მოუწოდებს დაასრულოს სუვერენული საქართველოს ტერიტორიების ოკუპაცია. შეერთებული შტატები ასევე გააგრძელებს ქართველი ხალხის მხარდაჭერას მშვიდობიანი მომავლის, კეთილდღეობის და დემოკრატიული თავისუფლების მისწრაფებების გზაზე. შეერთებული შტატები განაგრძობს ქართველი ხალხისადმი მტკიცე პარტნიორობის აღმოჩენას რეფორმების განხორციელების პროცესში და ქვეყნის ევრო-ატლანტიკურ თანამეგობრობაში სწორუპოვარი პოზიციის განმტკიცებაში, – აღნიშნულია ჯოზეფ ბაიდენის მისალოც წერილში.

ISSN 1987-9385
ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 599-532-690
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
ვებგვერდი: akhalitaoba.ge
ელ.ფოსტა: axtaoba@gmail.com
ტელეფონი: 599-532-690

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# პრეზიდენტი: „ჩვენი ევროპული მომავლის გასაღებს 4 ძირითადი ფასეულობა წარმოადგენს“

პრეზიდენტი სალომე ზურაბიშვილი ევროპისკენ მიმავალ გზაზე საქართველოს მიერ აუცილებლად შესასრულებელ ოთხ მთავარ პრინციპს ასახელებს.

როგორც ზურაბიშვილმა თავისუფლების მოედანზე, დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილ ღონისძიებაზე სიტყვით გამოსვლისას განაცხადა, ერთ-ერთი მთავარი პრინციპი „ძალაუფლების დაბალანსებაა ავტორიტარიზმის ცდუნების ასაცილებლად“.

– ევროპის გზაზე ისტორიული შესაძლებლობა გაჩნდა. ეს გზა ევროპისკენ არ გახსნილა უსისხლოდ და მსხვერპლის გარეშე. ჩვენმა წინაპრებმა ეს გზა გაკაფეს! ჩვენი საუკუნოვანი მისწრაფება ეფუძნებოდა იმ შეგნებას, რომ საერთო ფასეულობები გვაერთიანებდა და გვაკავშირებდა ევროპულ ცივილიზაციასთან და მაშინ, როცა ქართულ რწმენას, იდენტობას და ფასეულობებს ვიცავდით, რიგი დამპყრობელი იმპერიებისგან, ამ დროს ჩვენ ევროპასაც ვიცავდით. ეს საერთო ფასეულობები მოიცავდა ყველაფერს, რაც დღეს ჩვენი ევროპული მომავლის გასაღებს წარმოადგენს, ანუ 4 მთავარი ფასეულობა და პრინციპი:

1. სამართლიანი სასამართლო, რომელიც საქართველოში მრავალ საუკუნეს ითვლის და ეფუძნება ქართული სამართლის ძეგლებს: ეს იქნება ანტიკური ხანის ჩვეულებითი სამართალი, მე-13 საუკუნის „წიგნი სამართლისა კაცთა შეცდომისა ყოველივე“, მე-14 საუკუნის მეფე გიორგი ბრწყინვალის სისხლის სამართალს თუ ვახტანგ VI-ის სამართლის ძეგლების უნიკალური კრებული.

ქართული სამართლის ისტორია ბევრ ევროპულ ქვეყანას დაამშვენებდა და ცოტა არ იყოს, სირცხვილია, რომ დღეს ამ მემკვიდრეობას სათანადოდ ვერ ვაგრძელებთ.

2. ქართული კულტურის ქვაკუთხედად მიიჩნეოდა ის, რაც ევროპისთვისაც განმსაზღვრელ ფასეულობას წარმოადგენდა – შემწყნარებლობა და მრავალფეროვნება. დღესაც, ამ ტრადიციის გაგრძელება გვევალება ჩვენც და ევროპასაც.



3. ევროპასა და საქართველოს ქრისტიანობა ერთნაირად გვკარნახობდა ადამიანის სამყაროს ცენტრად აღიარებას და, მაშასადამე, მისი ყველა უფლების პატივისცემას და დაცვას და ადამიანს რომ ვამბობ, ქალს ვამბობ. ევროპისკენ მიმავალ ჩვენს გზაზე, ესეც დღის წესრიგში დგას.

4. დაბოლოს, ძალაუფლების დაბალანსება ავტორიტარიზმის ცდუნების ასაცილებლად. თამარ მეფის XII საუკუნეს უკავშირდება პირველი მონახაზი აღმასრულებელი და საკანონმდებლო შტოების დაყოფა და დაბალანსება, „კარავი“-ს და „დარბაზი“-ს სახით, რაც ქართული პარლამენტარიზმის ერთ-ერთ საფუძვლად მიიჩნევა, – განაცხადა ზურაბიშვილმა.

მისივე თქმით, ჩვენ გვევალება უკრაინელი ხალხის ტკივილის არა მხოლოდ გაზიარება, არამედ მათ მიმართ ტოტალური სოლიდარობა.

– უკრაინა დღეს იცავს არა მხოლოდ საკუთარ თავისუფლებას, სუვერენობას, დამოუკიდებლობას, არამედ ჩვენი და სხვა ევროპული ქვეყნების თავისუფლებას! – განაცხადა პრეზიდენტმა.

მან თქვა ისიც, რომ ევროპისკენ ინტეგრაციის აჩქარებული პროცესი, უკრაინელი ხალხის – მათი სისხლისა და ტანჯვის – დამსახურებაა.

– ამ უდიდეს ისტორიულ შანსთან ერთად, საქართველო არანაკლებ ძლიერი გამოწვევების წინაშე დგას. უკრაინის ომი, შუაგულ ევროპაში, გვახსენებს საქართველოს მიერ არაერთხელ ამ საუკუნეებში განვლილ ომებს და ტრაგედიებს.

სწორედ იმიტომ, რომ ვიცით, რა ფასი უჯდება ქვეყანას ამგვარი თავდადება, ჩვენ გვევალება უკრაინელი ხალხის ტკივილის არა მხოლოდ გაზიარება, არამედ მათ მიმართ ტოტალური სოლიდარობა. ჩვენ ვიცით სოლიდარობის ძალა და ამის ნიშანია, ის, რომ ქართველი საზოგადოება ყველა შესაძლო ფორმით გამოხატავს ამ სოლიდარობას.

ისიც კარგად გვესმის, რომ ევროპისკენ ინტეგრაციის აჩქარებული პროცესი უკრაინელი ხალხის დამსახურებაა, მათი სისხლისა და ტანჯვის.

უკრაინამ გაიარა საოცარი ბრძოლები, მისმა მეომრებმა მსოფლიოს აჩვენეს მამაცობის, თავდადებისა და გამძლეობის მაგალითი. პატივი მინდა მივაგო უკრაინელ და ქართველ დაღუპულ გმირებს, რადგან ისინი ყველანი იბრძოდნენ დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისთვის და 26 მაისი სხვა რაა თუ არა დამოუკიდებლობისა და თავისუფლების დღესასწაული. ჩვენ ვიცით და არ დავივიწყებთ, რომ უკრაინა დღეს იცავს არა მხოლოდ საკუთარ თავისუფლებას, სუვერენობას, დამოუკიდებლობას, არამედ ჩვენი და სხვა ევროპული ქვეყნების თავისუფლებას. იცავს რა, ერთიან, ძლიერ, თავისუფალ, ევროპულ მომავალს, – განაცხადა სალომე ზურაბიშვილმა.

## მაკრონი ზურაბიშვილს: „მნიშვნელოვანია, რომ თქვენმა ქვეყანამ მხარი დაუჭიროს სანქციების ევროპულ პოლიტიკას“

მნიშვნელოვანია, რომ თქვენმა ქვეყანამ მხარი დაუჭიროს სანქციების ევროპულ პოლიტიკას და ხელი შეუშალოს მოქმედი სანქციების რეჟიმის რუსეთის მიერ გვერდის ავლის მცდელობებს.



ამის შესახებ საფრანგეთის პრეზიდენტ ემანუელ მაკრონის მიერ საქართველოს პრეზიდენტ სალომე ზურაბიშვილის მიმართ გაგზავნილ წერილშია აღნიშნული.

როგორც ემანუელ მაკრონი განმარტავს, საქართველომ კიდევ ერთხელ შეძლო, დაემტკიცებინა დემოკრატიის გზის მიმართ თავისი დამაჯერებელი ერთგულება და ახლახან წარადგინა წევრობის კითხვარის მეორე ნაწილი.

„გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში საქართველოს მიერ თანმიმდევრულად მიცემული ხმები რეზოლუციების სასარგებლოდ, რომლებიც მოითხოვდა უკრაინაში ომის დაუყოვნებლივ შეწყვეტას, მოუწოდებდა რუსეთს მშვიდობიან მოსახლეობაზე ყველა თავდასხმის შეწყვეტისკენ და ბოლოს, მას რიცხავდა ადამიანის უფლებების საბჭოდან, ძალიან მნიშვნელოვანი სიგნალი იყო.

მაშინ, როცა საქართველომ კიდევ ერთხელ შეძლო, დაემტკიცებინა დემოკრატიის გზის მიმართ თავისი დამაჯერებელი ერთგულება და ახლახან წარადგინა წევრობის კითხვარის მეორე ნაწილი, მნიშვნელოვანია, რომ თქვენმა ქვეყანამ მხარი დაუჭიროს სანქციების ევროპულ პოლიტიკას და ხელი შეუშალოს მოქმედი სანქციების რეჟიმის რუსეთის მიერ გვერდის ავლის მცდელობებს.

ჩემთვის ასევე ცნობილია თქვენი სურვილი, განამტკიცოთ კანონის უზენაესობა აუცილებელი რეფორმების გატარებით, სახელდობრ სასამართლო სისტემაში – შეგიძლიათ ჩვენი მტკიცე მხარდაჭერის იმედი გქონდეთ ამ გზაზე.

მოგეხსენებათ, რომ 2022 წელს ჩვენი დიპლომატიური ურთიერთობების აღდგენის 30-ე იუბილე აღინიშნება. ამ წლების განმავლობაში, ჩვენ შევძელით, განგვევითარებინა განსაკუთრებული კავშირი, რომელიც ფესვგადგმულია ნდობითა და მეგობრობით გამორჩეულ ჩვენს საერთო ისტორიაში. მოხარული ვარ ამით და გამოვთქვამ იმედს, რომ შევძლებთ, გავაგრძელოთ ჩვენი უკვე სამაგალითო თანამშრომლობა „ამილახვარის“ სტრუქტურული დიალოგის ფარგლებში, რომელიც 2019 წლის თებერვალში გავხსენით“ – აღნიშნულია წერილში.

## შალვა პაპუაშვილი: „ფასი, რომელიც ჩვენმა ქვეყანამ თავისუფლებისა და ევროპული მომავლისთვის ბრძოლაში გაიღო, ძალიან დიდია“



– ფასი, რომელიც ჩვენმა ქვეყანამ თავისუფლებისა და ევროპული მომავლისთვის ბრძოლაში გაიღო, ძალიან დიდია და გვჯერა, რომ ევროკავშირი ქართველი ხალხის ამ ძალისხმევას დაინახავს და სათანადოდ დააფასებს.

ეს განცხადება პარლამენტის თავმჯდომარემ შალვა პაპუაშვილმა თავისუფლების მოედანზე, საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილ ღონისძიებაზე სიტყვით გამოსვლისას გააკეთა. როგორც პაპუაშვილმა საზოგადოებას მიმართა, მნიშვნელოვანი ისტორიული პროცესების ფონზე, ახლანდელ 26 მაისს განსაკუთრებული იმედით აღვნიშნავთ.

– ევროკავშირთან დაახლოების გზაზე საქართველომ ბოლო წლების განმავლობაში ისტორიული ნაბიჯები გადადგა, იშრომა და იბრძოლა ევროპული მომავლისთვის. მათ შორის, გადავდგით მთავარი ნაბიჯი – ჩვენ ოფიციალურად შევიტანეთ განაცხადი ევროკავშირის წევრობაზე. საქართველო დასავლური ცივილიზაციის, ევროპული კულტურის და ისტორიული სივრცის შექმნის თანამონაწილე და განუყოფელი ნაწილია. ჩვენ გავაგრძელებთ საქართველოს სუვერენიტეტის, ტერიტორიული მთლიანობისა და თავისუფლების დაცვასა და განმტკიცებას, ევროპული სახელმწიფოს მშენებლობას, სახელმწიფოსი, რომელიც ღირსეულ ადგილს დაიბრუნებს ევროპულ ოჯახში, – განაცხადა შალვა პაპუაშვილმა.

## ხათუნა სამნიძე: „ხელისუფლება ყველაფერს აკეთებს, რომ დავშორდეთ ევროკავშირის წევრობის კანდიდატობის პერსპექტივას“

ხელისუფლება ყველაფერს აკეთებს, რომ დავშორდეთ ევროკავშირის წევრობის კანდიდატობის პერსპექტივას. მათი ტვირთი და პრობლემაა, როდესაც ასე არასწორად იქცევიან და აზიანებენ ქვეყნის საერთაშორისო ინტერესებს.



ამის შესახებ თავისუფლების მოედანზე, 26 მაისთან დაკავშირებულ ღონისძიებაზე მისვლის შემდეგ, ოპოზიციონერმა დეპუტატმა, ხათუნა სამნიძემ, განაცხადა.

მისივე თქმით, ხელისუფლება საკუთარი ანტიდასავლური კამპანიით ძალიან დიდ ზიანს აყენებს ქვეყნის საგარეო იმიჯს, მაგრამ ამავე დროს დასავლელმა პარტნიორებმა იციან, რომ მმართველი გუნდი არ გამოხატავს ჩვენი საზოგადოების ნებას.

– მიუხედავად იმისა, რომ ქვეყანაში გვაქვს უმძიმესი ვითარება, სერიოზული გამოწვევები დემოკრატიის თვალსაზრისით და ხელისუფლება, რომელიც არ დგამს არც ერთ ნაბიჯს რეფორმების მხარეს, ქვეყანა იმსახურებს წევრობის კანდიდატის სტატუსს. ჩვენი საზოგადოება იმსახურებს, რომ ჩვენ გავხდეთ ევროპული ოჯახის წევრი, რომელ გზაზეც მრავალი წელია ვდგავართ.

ხელისუფლებამ ძალიან კარგად იცის, რომ ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსის მიღებას თან ერთვის კონკრეტული პირობების შესრულების აუცილებლობა.

ეს იქნება მათი პასუხისმგებლობა და ტვირთი, ასევე საშუალება ოპოზიციისთვის, რომ კონკრეტული საკითხების შესრულება მოვთხოვოთ. ბუნებრივია, ამ ვითარებაში ხელისუფლება ყველაფერს აკეთებს, რომ დავშორდეთ ამ პერსპექტივას, მათი ტვირთი და პრობლემაა, როდესაც ასე არასწორად იქცევიან და აზიანებენ ქვეყნის საერთაშორისო ინტერესებს, – აღნიშნა ხათუნა სამნიძემ.

## ბანკების აქტივები 62.78 მლრდ ლარამდე გაიზარდა

2022 წლის აპრილში, წინა თვესთან შედარებით, საქართველოს კომერციული ბანკების მთლიანი აქტივები (მიმდინარე ფასებში) 0.99 მლრდ ლარით, ანუ 1.6 პროცენტით გაიზარდა (გაცვლითი კურსის ეფექტის გარეშე 3.5 პროცენტით გაიზარდა) და 2022 წლის აპრილის ბოლოს 62.78 მლრდ ლარი შეადგინა. ამის შესახებ ინფორმაციას ეროვნული ბანკი ავრცელებს.

მათივე ცნობით, საბანკო სექტორის სააქციო კაპიტალი 8.23 მლრდ ლარს შეადგენს, რაც კომერციული ბანკების მთლიანი აქტივების 13.1 პროცენტია.

ამასთან, სებ-ის ცნობით, 2022 წლის აპრილის ბოლოს მდგომარეობით, საქართველოს საბანკო სექტორი 14 კომერციული ბანკითაა წარმოდგენილი; მათ შორის 13 – საწესდებო კაპიტალში უცხოური კაპიტალის მონაწილეობით.

## მეორე კვარტალში საქართველოს ეკონომიკა მხოლოდ 3.3%-ით გაიზრდება

პარლამენტის საბიუჯეტო ოფისმა ეკონომიკის კვარტალური ზრდის პროგნოზი გამოაქვეყნა.

დოკუმენტის მიხედვით, 2022 წლის მეორე კვარტალში საქართველოს ეკონომიკა მხოლოდ 3.3%-ით გაიზრდება.

შეგახსენებთ, რომ 2021 წლის ანალოგიურ პერიოდში საქართველოს ეკონომიკური ზრდა 28.9% იყო. შესაბამისად, მაღალი საბაზისო ეფექტის ფონზე ეკონომიკური ზრდის პროგნოზი 3.3%-ით განისაზღვრა.

რაც შეეხება ძირითად დაშვებებს, რომელთაც პარლამენტის საბიუჯეტო ოფისი ეყრდნობა, მათ შორისაა, ტურიზმის მოცულობის ზრდა. დოკუმენტის მიხედვით, ტურიზმის მოცულობა მეორე კვარტალში დაახლოებით 2.4-ჯერ გაიზრდება. ამავე დროს გაიზრდება ქვეყნიდან გასული ვიზიტორების რიცხოვნობაც. ამასთან, მოსალოდნელია შიდა ტურისტული აქტივობის შენარჩუნებაც.

დოკუმენტის მიხედვით, ასევე გაიზრდება როგორც კერძო მოხმარების, ისე ინვესტიციების მოცულობა, რაც განაპირობებს მთლიანი მოხმარების და ინვესტიციების ზრდას და ეკონომიკური აქტივობის აღნიშნულ დადებით ტემპს.

პროგნოზის განმსაზღვრელ კიდევ ერთ არგუმენტად, საბიუჯეტო ოფისი, ვაჭრობის გაუმჯობესებას ასახელებს, კერძოდ, გლობალური ეკონომიკის გაჯანსაღების ფონზე მოსალოდნელია, რომ გაიზრდება ექსპორტზე მოთხოვნა და, შესაბამისად, გაიზრდება საქონლის ექსპორტის მოცულობაც.

აქვე იმასაც შეგახსენებთ, რომ მიმდინარე წლის პირველ კვარტალში საქართველოს ეკონომიკა 14.4%-ით გაიზარდა.

## აშშ-ის საელჩო კობახიძის ბრალდებებს პასუხობს




აშშ-ის საელჩო საქართველოში „მთავარი არხის“ გენერალური დირექტორის ნიკა გვარამიას საქმის მოსამართლე ლაშა ჩხიკვაძესთან დაკავშირებით „ქართული ოცნების“ თავმჯდომარის ირაკლი კობახიძის ბრალდებებს პასუხობს.

„30 წელია, ამერიკის შეერთებული შტატები მხარს უჭერს საქართველოს სასამართლოს პროგრამებით, რომელიც მიმართულია მისი დამოუკიდებლობისა და შესაძლებლობების გაძლიერებაზე. ჩვენი არაპარტიული, აპოლიტიკური დახმარება ხორციელდება მიუხედავად იმისა, თუ რომელი პარტია არის ხელისუფლებაში. დარწმუნებული ვართ, რომ ჩვენი ძალისხმევა თანხვედრაშია როგორც საქართველოს, ისე ამერიკის კანონმდებლობასთან“ – წერია განცხადებაში. ირაკლი კობახიძემ აშშ-ის საელჩოს 25 მაისს მოუწოდა, განცხადება გაევრცელებინა, რომელიც გვარამიას საქმის განმხილველ მოსამართლეზე „სპეკულაციებს დაასრულებდა“. ნიკა გვარამიას საქმეზე განაჩენის გამოტანის შემდეგ მოსამართლე ლაშა ჩხიკვაძე აშშ-ის საელჩომ პროგრამიდან ამორიცხა.

# 17 ივლისს დაგეგმილი ე. წ. რეფერენდუმის წინააღმდეგ კრემლი და ცხინვალი ამხედრდნენ

## პოლიტოლოგი: „ეს იდეა წარუმატებელი წინასაარჩევნო სვლა იყო“

მარიამ მჭედლიშვილი

როგორც მოსალოდნელი იყო, ცხინვალის ოკუპირებულ რეგიონში დაგეგმილ ე. წ. რეფერენდუმს რუსეთთან შერწყმის საკითხზე დაგვირგვინება არ უწერია. რეფერენდუმის პროცედურა რომც გაიმართოს, მას გაგრძელება არ მოჰყვება. შეგახსენებთ, რომ ამ ე. წ. რეფერენდუმს არ აღიარებს თბილისი და საერთაშორისო თანამეგობრობა.

რეფერენდუმის ინიციატორ ბიბილოვისათვის (ბოლო დრომდე ის დე ფაქტო პრეზიდენტი იყო) ეს აქტი ლეგიტიმურობისა და ოსი ხალხის სანუკვარი ოცნების გამოხატულება იყო. ოდიოზურმა ბიბილოვმა რუსეთთან შეერთების უზნეო იდეა გააცოცხლა მოახლოებული უკანონო საპრეზიდენტო არჩევნების წინ.


დიმიტრი პესკოვი

მას შემდეგ გაიმართა ფაქტობრივი საპრეზიდენტო არჩევნების ორი ტური, რომელმაც გამოავლინა დე ფაქტო არჩევნებში გამარჯვებული ალან გაგლოევი. დამარცხებულმა ბიბილოვმა ე. წ. ინაუგურაციამდე მოასწრო ე. წ. რეფერენდუმის დანიშვნა. წინასწარი პროცედურები მანამდე გაიმართა.

დღეს, როცა გაგლოევი უკვე შეუდგა „საპრეზიდენტო“ უფლებამოსილების შესრულებას, რეფერენდუმი კი 17 ივლისისთვისაა დანიშნული, მოსკოვი და ცხინვალი ამ რეფერენდუმს უფრო მკაფიოდ აუმხედრდნენ.

რუსეთთან ყოფნა გაგლოევის ნატვრაცაა, თუმცა იგი ყოველთვის ამბობდა, რომ ამ პროცესისთვის რუსეთიც უნდა იყოს მზად, ეს დრო ჯერ არ დამდგარა.

თემაზე კიდევ ერთი კომენტარის გაკეთება მოუხდა პუტინის პრესმდივან პესკოვს. პესკოვი ამ იდეაში იურიდიულ გაუგებრობებსაც ამჩნევს.

**დიმიტრი პესკოვი:**

– რუსეთი არ დგამს და არ დგამდა არანაირ ნაბიჯებს, რომლებიც დაკავშირებულია სამხრეთ ოსეთის რეფერენდუმთან. ამ საკითხში არის იურიდიული შეუსაბამობები. რეფერენდუმის კითხვა ფორმულირებულია, როგორც სამხრეთ ოსეთის რუსეთთან გაერთიანება, რაც გარკვეული იურიდიული კაზუსია. თუ საუბარია რაღაც მესამე სახელმწიფოს შექმნაზე, ეს, რასაკვირველია, შეუძლებელია. ამიტომ საჭიროა ფიქრი იურიდიულ ფორმულირებაზე.

რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ალექსანდრ რუდენკო ე. წ. რეფერენდუმის უდროობასა და უადგილობას ეხება.

**ალექსანდრ რუდენკო:**

– გაერთიანების საკითხი მოითხოვს ორი მხრის მონაწილეობას. ჯერ შევხედავთ, როგორ გაიმართება ხმის მიცემა. აქ გასათვალისწინებელია ფაქტორების ერთობლიობა. მათ შორის, ახლანდელი გეოპოლიტიკური სიტუაცია, მაინცდამაინც ამ დროს, ამ გადაწყვეტილების დროულობა და მიზანშეწონილობა.

ამ ფონზე რუსეთი ოკუპირებული ცხინვალის რეგიონის ანექსიისკენ მიილტვის. რუსეთის საკანონმდებლო ორგანოს ორივე პალატამ 25 მაისს დაასრულა შეთანხმების რატიფიკაცია ე. წ. „სამხრეთ ოსეთთან“, რომელიც ორმაგი მოქალაქეობის დაკანონებას ეხება. შეთანხმებას ხელი მოეწერა 2021 წლის 20 სექტემბერს. ცხინვალის რეგიონის მცხოვრებლებმა რუსეთის ფედერაციის მოქალაქეობის მიღება დაიწყეს 1990 წლიდან. დღეს მათ „ორმაგი მოქალაქეობა“ დაუკანონდათ.

ამ სახის რეფერენდუმისა და მისი ორგანიზატორის მიმართ კრიტიკულადაა განწყობილი ცხინვალელი პოლიტოლოგი, ყოფილი დეპუტატი ვიაჩესლავ გობოზოვი, რომელიც ადგილობრივ მედიას ესაუბრა. გობოზოვი იყენებს ტერმინოლოგიას, რომელიც არღვევს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას.

***– შექმნილ რთულ პირობებში ცხინვალში დანიშნული რეფერენდუმი ხომ არ გაართულებს სიტუაციას რუსეთისთვის?***

– ეს არ არის რეფერენდუმი სამხრეთ ოსეთის რუსეთის შემადგენლობაში შესვლაზე. კითხვაში, რომელიც უნდა გამოვიდეს კენჭისყრაზე, ლაპარაკია „სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკისა და რუსეთის ფედერაციის გაერთიანებაზე“. ეს ნიშნავს ან ახალი სახელმწიფოს შექმნას, ან სახელმწიფოთა კავშირის შექმნას. ამიტომ რეფერენდუმის ინიციატორების მიმართ ჩნდება კითხვა – რის ჩამოყალიბებას აპირებენ? თუ ახალი სახელმწიფოს არა, მაშინ, სახელმწიფოთა კავშირს? ამისათვის რეფერენდუმი საჭირო არ არის. სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის კონსტიტუციაში ნათქვამია, რომ სამხრეთ ოსეთს აქვს უფლება, შევიდეს კავშირში სხვა სახელმწიფოსთან ერთად და კავშირის ორგანოებს გადასცეს თავისი უფლებამოსილებების ნაწილი. რისთვის არის საჭირო კიდევ ერთი რეფერენდუმის გამართვა საკითხზე, რომელიც ისედაც გადაწყვეტილია ქვეყნის კონსტიტუციაში?!


ალექსანდრ რუდენკო

რეფერენდუმს, რომელსაც გვთავაზობენ, არაფერი აქვს საერთო რეფერენდუმთან რუსეთის შემადგენლობაში შესვლის შესახებ. ეს წმინდა წინასაარჩევნო სვლაა, რომელმაც არ გაამართლა.

***– თავის მისალოც წერილში გამარჯვებული ალან გაგლოევისადმი რუსეთის პრეზიდენტი ვლადიმირ პუტინი არაფერს ამბობს ინტეგრაციაზე.***

– მოკავშირეობა და სტრატეგიული პარტნიორობა, ასე თუ ისე, გულისხმობს ინტეგრაციას. არ არის აუცილებლობა, რომ ამაზე ჩაწერო მილოცვაში. რეფერენდუმი ჩამოსულ პოლიტტექნოლოგებს მძლავრ სვლად მოეჩვენათ. ამასთან, ვისაც ცოტა რამ მაინც გაეგება სამხრეთ ოსეთის უახლესი ისტორიიდან, გაიგებდა, რომ ამან წინასაარჩევნოდ არც ერთხელ არ გაამართლა. ჩვენთან მკაფიოდ ასხვავებენ რეფერენდუმსა და მის ინიციატორებს.

# აპრილში საქართველოში ხორბლის იმპორტი 73%-ით შემცირდა, ფქვილის — 1020%-ით გაიზარდა



უკრაინაში რუსეთის შეჭრის და სურსათის მიწოდების ჯაჭვების შეფერხების შემდეგ საქართველოში ხორბლის იმპორტი იკლებს. სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით, მიმდინარე წლის აპრილში საქართველოში იმპორტირებულია 8 181 ტონა ხორბალი და მესლინი (2.9 მილიონი აშშ დოლარი), რაც 2021 წლის აპრილის მაჩვენებელზე, 31 140 ტონაზე (7 364 მილიონი აშშ დოლარი), 73%-ით ნაკლებია.

წელსაც ქვეყანაში ხორბლის მთავარი შემომტანი რუსეთია – აპრილში ჩრდილოელი მეზობლისგან 8 117 ტონა ხორბალი ვიყიდეთ, რაც მთლიანი რაოდენობის 99%-ია. დანარჩენი 1% ყაზახეთსა და ავსტრიაზე მოდის.

შედარებისთვის, წინა წლის შესაბამის თვეში საქართველომ რუსეთისგან 28 261 ტონა ხორბალი იყიდა, რაც წლევანდელ მაჩვენებელზე 71%-ით მეტია, აშშ-სგან კი გასული წლის აპრილში 2 879 ტონა ხორბალი ვიყიდეთ.

ხორბლისგან განსხვავებით იზრდება ფქვილის იმპორტი – მიმდინარე წლის აპრილში საქართველოში სულ 16 269 ტონა ფქვილია შემოსული, რაც წინა წლის აპრილის მაჩვენებელზე, 1 452 ტონაზე, 1020%-ით მეტია. იმპორტირებულ პროდუქციაში 6 მილიონ დოლარზე მეტი გადავიხადეთ.

ფქვილის მთავარი მომწოდებელიც საქართველოსთვის რუსეთია, იმპორტირებული პროდუქციის 99% სწორედ რუსეთზე მოდის, 1% კი თურქეთსა და იტალიაზე.

2022 წლის აპრილში რუსეთისგან საქართველომ 16 170 ტონა ფქვილი იყიდა, რაც წინა წლის აპრილის მაჩვენებელზე 1039%-ით მეტია.

# თაფლის ექსპორტი გაორმაგდა



ქართული თაფლის ექსპორტი მიმდინარე წელს გაორმაგდა. 2022 წლის იანვარ-აპრილში, საქართველოდან 277.2 ათასი აშშ დოლარის 67.4 ტონა თაფლის ექსპორტი განხორციელდა. მაშინ როცა, გასული წლის ანალოგიურ პერიოდში, საქართველოდან 116.8 ათასი აშშ დოლარის 31.4 ტონა თაფლი გავიდა.

მეფუტკრეთა ასოციაციის თავმჯდომარე ალეკო პაპავა ,,ბიზნესპრესნიუსთან“ საუბრისას აცხადებს, რომ ქართული თაფლის საექსპორტო პოტენციალი მუდმივად მზარდია. უკრაინაში რუსეთის მიერ დაწყებულმა ომმა კი, ეს პოტენციალი მეტად გაზარდა და საქართველომ ეს ნიშაც უნდა აითვისოს.

„ძირითადი საექსპორტო ქვეყნები მიმდინარე წელს ბულგარეთი და საფრანგეთია, თუმცა გამოჩნდა ახალი ქვეყნები: გერმანია, გაერთიანებული საამიროები, აშშ და ისრაელი, საიდანაც ინტერესი დიდია, თუმცა პროდუქციის შეტანა მარტივი ნამდვილად არ არის, მათი სტანდარტებიდან გამომდინარე. ასე რომ, ინტერესიც და ექსპორტის მოცულობაც მზარდია.

ბოლო ტენდენცია კი, უკრაინაში ომიდან გამომდინარე ასეთია, უკრაინა იყო თაფლის ერთ-ერთი მთავარი მიმწოდებელი ევროკავშირის ქვეყნებისათვის როგორც მზესუმზირის, ასევე აკაციის თაფლის შემთხვევაშიც. სამწუხაროდ, ომი ისევ მიმდინარეა და სანამ უკრაინაში მოვლენები დასტაბილურდება, ვფიქრობ, გვაქვს პოტენციალი, ბაზარი ჩვენ ავითვისოთ. ცხადია, არ ვგულისხმობ უკრაინისთვის ნიშის წართმევას, ჩვენ ამის რესურსი ფიზიკურად ვერც გვექნება და არც უნდა გვქონდეს სურვილი, თუმცა სანამ უკრაინა ვერ მიაწვდის ევროპას ამ პროდუქტს, ვფიქრობ, საქართველომ ეს პოტენციალი უნდა გამოიყენოს. მით უფრო, რომ ქართულო თაფლის ცნობადობა და სანდოობა ევროპაში გაზრდილია.

გერმანიაში შესული თაფლი წელს საქართველოს ლაბორატორიის დასკვნით მიიღეს, რაც გასულ წლებში წარმოუდგენელი იყო. არის ქვეყნები, სადაც კვლავ ამოწმებენ საზღვარზე თავის ლაბორატორიებში. დარღვევები არ აღმოჩნდა. უმნიშვნელოვანესი იქნება, ამ კუთხითაც მუშაობა, რომ სანდოობა გაიზარდოს ისე, რომ საერთაშორისო ლაბორატორიების დასკვნები აღარ იყოს აუცილებელი“ – განუცხადა პაპავამ ,,ბიზნესპრესნიუსს“.

# ქართული ბოსტნეულის წარმოება ისტორიულ მაქსიმუმს ვერ აღწევს — რამდენით შემცირდა პროდუქტის მოცულობა

საქართველოში არც ბოსტნეული და არც კარტოფილის წარმოება პოზიტიურ ზრდას არ ავლენს. ამის შესახებ დარგის პორტალ EastFruit-ის ანალიტიკოსების კვლევაში წერია.

მაგალითად, გასულ წელს ბოსტნეულის ჯგუფის წარმოება 149 ათას ტონამდე შემცირდა, ხოლო კარტოფილის წარმოება 235 ათას ტონამდე გაიზარდა. ორივე შემთხვევაში, EastFruit-ის შეფასებით, 2014-2020 წლების პერიოდის ისტორიული მაქსიმუმი მიღწეული ვერ იქნა.

პირიქით, 2014-2020 წლების პერიოდის ისტორიულ მაქსიმუმთან შედარებით, გასულ წელს წარმოება შემცირდა:

კარტოფილის – 6%-ით (მოსავალი 235 ტონა)

პომიდვრის – 18%-ით (მოსავალი 57 ათასი ტონა)

კიტრის – 8%-ით (მოსავალი 30 ათასი ტონა)

კომბოსტოს, ყვავილოვანი კომბოსტოსი და ბროკოლის – 29%-ით (მოსავალი 21 ათასი ტონა)

მწვანილის – 37%-ით (მოსავალი 9 ათასი ტონა)

ხახვის – 55%-ით (მოსავალი 8 ათასი ტონა)

წიწაკის – 7%-ით (მოსავალი 8 ათასი ტონა)

ჭარხლის – 0%-ით (მოსავალი 4 ათასი ტონა)

მწვანე ლობიოს – 4%-ით (მოსავალი 4 ათასი ტონა)

ბადრიჯნის – 58%-ით (მოსავალი 3 ათასი ტონა)

ნივრის – 62%-ით (მოსავალი 2 ათასი ტონა)

სტაფილოს – 69%-ით (მოსავალი 2 ათასი ტონა)

სხვა დანარჩენის მთლიანად 78%-ით (მოსავალი ათასი ტონა)



2014 წლიდან მოყოლებული, წარმოების მაქსიმალურ მოცულობას 2021 წელს მხოლოდ ერთმა პროდუქტმა, ჭარხალმა მიაღწია. თუმცა მისი წარმოების მოცულობა მხოლოდ 4 ათასი ტონაა. 5 პოზიცია 2014-2022 წლების მაქსიმალური მოცულობიდან სერიოზულ ჩამორჩენას აჩვენებს. ეს არის ხახვი, ბადრიჯანი, ნიორი, სტაფილო და ბოსტნეულის სხვა ჯგუფი, რომელიც სიაში არ არის ნაჩვენები. ყველა მათგანის წარმოება, 2014 წლიდან დაწყებული ყველა დროის მაჩვენებელთან შედარებით, 50-80%-ით შემცირდა.

EastFruit-ის მიერ შესწავლილ 13-დან ხუთი პოზიციის ბოლო ოთხწლიანი წარმოების მოცულობის ჯამი, წინა 4 წლის, ანუ 2014-2017 წლების მაჩვენებელზე მეტია, დანარჩენ პოზიციებზე კი ამ პერიოდში წარმოება შემცირდა. ამასთან, ბოლო 4 წლის (2018-2021წწ) განმავლობაში ბოსტნეულის წარმოება, 2014-2017 წლებთან შედარებით, 55 ათასი ტონით, ხოლო კარტოფილის წარმოება 45 ათასი ტონით გაიზარდა.

# აპრილში სესხები გაძვირდა



ეროვნული ბანკის ვებ-გვერდზე გამოქვეყნებული სტატისტიკის მიხედვით, 2022 წლის აპრილში, წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, ლარში გაცემულ სესხებზე საპროცენტო განაკვეთი გაიზარდა.

კერძოდ, ეროვნული ვალუტით გაცემულ სესხებზე საპროცენტო განაკვეთმა 15,4%-დან 16,7%-მდე მოიმატა. ამავე სტატისტიკის მიხედვით, სესხებზე საპროცენტო განაკვეთის ცვლილება ყველაზე მეტად იურიდიული პირებისთვის ეროვნულ ვალუტაში გაცემულ სესხებს შეეხო. კერძოდ, 2021 წლის აპრილის მონაცემებით, იურიდიული პირების სესხების საბაზრო საპროცენტო განაკვეთი შეადგენდა 12,2%-ს, ხოლო წელს უკვე 13,8%-ს. ფიზიკური პირების შემთხვევაში კი, საპროცენტო განაკვეთი 17,8%-დან 18,8%-მდე გაიზარდა.

რაც შეეხება უცხოურ ვალუტაში გაცემულ სესხებზე საპროცენტო განაკვეთს, ცვლილება ფაქტობრივად, არ არის. საშუალო საპროცენტო განაკვეთი 6,5%-ს შეადგენდა როგორც წინა წლის აპრილში, ასევე მიმდინარე წელს. მცირედით, 0,2%-ით არის გაზრდილი იურიდიული პირების სესხებზე საპროცენტო განაკვეთი და ამ დროისთვის 6,7%-ს შეადგენს. ფიზიკური პირების სესხებზე კი 6,2%-დან 6,1%-მდეა შემცირებული.

# ლევან ასლანიშვილმა ყოფილ მეუღლე თამარ ჭეიშვილს ბავშვთა პროსტიტუცია დააბრალა



ყოფილი მეუღლის, თამარ ჭეიშვილის განზრახ მკვლელობის მცდელობაში ბრალდებული ლევან ასლანიშვილი მის ყოფილ მეუღლეს ბავშვთა პროსტიტუციაში ჩართვაში ადანაშაულებს.

აღნიშნულის შესახებ ასლანიშვილმა სასამართლო პროცესზე განაცხადა.

როგორც ბრალდებულმა განმარტა, დანაშაული სწორედ იმის გამო ჩაიდინა, რომ აღნიშნულის შესახებ შეიტყო.

– ეს შემთხვევა, რაც ჩავიდინე, ვაღიარებ, მაგრამ უმიზეზოდ არ მომხდარა და სიზმარი არ მინახავს. ამ ქალბატონს წლების წინ გავუხსენი მეილი. ეჭვის საფუძველი მომეცა, ის დარეგისტრირდა ფეისბუქზე, მეილზე შევედი, ფეისბუქზე გადავედი და ვხედავ, დღეში 50 კაცთან უხამს და უცენზურო მიმოწერას, – განაცხადა ასლანიშვილმა.

აღნიშნულს მოჰყვა ადვოკატის ელისო რუხაძისა და პროკურორ ნაზი მირიანაშვილის პროტესტი.

– ღამე წავიკითხე მესიჯები და თვალები შუბლზე ამივიდა. თუ ჩემი სიმართლე არ დადგინდა, ათი სამუდამო მომისაჯეთ, – განაცხადა ასლანიშვილმა.

– ეს იყო ბრალდებულის სტრატეგიის ნაწილი, რომ აღკვეთის ღონისძიების სახით არ შეფარდებოდა პატიმრობა და სასამართლოს გაემართლებინა ის უმძიმესი დანაშაული, რომელიც მან ჩაიდინა.

ამის შესახებ თამარ ჭეიშვილის ადვოკატმა ელისო რუხაძემ განაცხადა, რითაც ბრალდებულის მიერ ყოფილი მეუღლის ბავშვთა პროსტიტუციაში დადანაშაულებას გამოეხმაურა.

ადვოკატის თქმით, საგამოძიებო ორგანოები უნდა დაინტერესდნენ ნებისმიერი დანაშაულის შესახებ ინფორმაციით, თუმცა ეს ამბავი მოგონილია.

– ბრალდებულის მიერ გაკეთებული განცხადება არის მოგონილი ამბავი. აღშფოთებას გამოვხატავ და არ შემიძლია არ დავგმო მთელი პროცესის მანძილზე, როდესაც ბრალდებული განიხილავდა მსხვერპლი ქალის და ასევე, მისი არასრულწლოვანი შვილის პირად ცხოვრებას, არ აღმოჩნდნენ პროცესის მონაწილეები მზად იმისათვის, რომ ბრალდებული შეეჩერებინათ.

აღკვეთის ღონისძიების საკითხზე არ განიხილება მსგავსი საკითხები და განსაკუთრებული სიფაქიზით უნდა მოეპყრნენ პროცესის მონაწილეები, როდესაც ბრალდებული ეხება მსხვერპლის და არასრულწლოვანის პირად ცხოვრებას.

ვერანაირად ვერ გამართლდება პროცესის მიზნებიდან, ბრალდებულს უსმინოს საათობით სასამართლომ და თუნდაც პროკურორმა, როგორ საუბრობს ამ ამაზრზენ ფაქტებზე.

მე მაქვს დიდი ეჭვი, რომ ეს იყო ბრალდებულის სტრატეგიის ნაწილი, რომ აღკვეთის ღონისძიების სახით არ შეფარდებოდა პატიმრობა და სასამართლოს გაემართლებინა ის უმძიმესი დანაშაული, რომელიც მან ჩაიდინა. რა თქმა უნდა, საგამოძიებო ორგანოები უნდა დაინტერესდნენ ნებისმიერი დანაშაულის შესახებ განცხადებით, თუმცა, დარწმუნებული ვარ, რომ ეს ამბავი არის მოგონილი და სურდა მისი დანაშაულის გადაფარვა, – განაცხადა ადვოკატმა.

პროკურორ ნაზი მირიანაშვილის განცხადებით, ყოფილი მეუღლის დაჭრის ფაქტზე ბრალდებულმა ლევან ასლანიშვილმა მას მოკვლის მიზნით ჭრილობები სხეულის სხვადასხვა ადგილას მიაყენა.

პროკურორის თქმით, თამარ ჭეიშვილს ჭრილობა გულ-მკერდის არეშიც ჰქონდა.

მირიანაშვილის თქმით, დაკავებული ძალადობრივ ქმედებებში არაერთხელაა შემჩნეული და ის ბრალდებულია ოჯახური ძალადობის ორ ეპიზოდზე. პროკურორის თქმით, ასლანიშვილი მეუღლეზე სისტემატიურად ძალადობდა.

სასამართლო მეუღლის დაჭრის ფაქტზე ბრალდებულისთვის პატიმრობის შეფარდების შესახებ განცხადებას ავრცელებს.

მათი ინფორმაციით, 25 მაისს, თბილისის საქალაქო სასამართლოს საგამოძიებო და წინასასამართლო სხდომის კოლეგიამ განიხილა ბრალდების მხარის შუამდგომლობა ბრალდებულ ლ.ა.-ს მიმართ აღკვეთის ღონისძიების გამოყენების თაობაზე.

როგორც სასამართლოს მიერ გავრცელებულ განცხადებაშია ნათქვამი, ლ.ა.-ს ბრალად ედება შემაკავებელი ორდერით გათვალისწინებული მოთხოვნებისა და ვალდებულებების შეუსრულებლობა, ჩადენილი ოჯახის წევრის მიმართ და განზრახ მკვლელობის მცდელობა, გენდერის ნიშნით, ოჯახის წევრის მიმართ, განსაკუთრებული სისასტიკით.

„საქმის მასალების თანახმად, ლ.ა.-ს მიმართ 2022 წლის 27 აპრილს მეუღლის მიმართ განხორციელებული ძალადობის გამო გამოიცა შემაკავებელი ორდერი, რომლითაც აეკრძალა ყოფილ მეუღლესთან თ.ჭ.-სთან მიახლოვება და ნებისმიერი სახის კომუნიკაცია. ა.წ. 23 მაისს, თბილისში, ავტობუსის გაჩერებაზე, გენდერის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით, განსაკუთრებული სისასტიკით, არასრულწლოვანი შვილის თანდასწრებით დანის გამოყენებით სცადა ყოფილი მეუღლის მოკვლა და ამ მიზნით მას 10 ჭრილობა მიაყენა სხეულის სხვადასხვა მიდამოში, მათ შორის, შემავალი ჭრილობა გულ-მკერდის არეში მიყენებული დაზიანებებით, მძიმე მდგომარეობაში მყოფი თ.ჭ. გადაყვანილ იქნა საავადმყოფოში, სადაც დროული სამედიცინო დახმარების აღმოჩენის შედეგად მოხერხდა მისი სიცოცხლის შენარჩუნება.

შუამდგომლობის განხილვისას, სასამართლომ მიიჩნია, რომ არსებობდა აღკვეთის ღონისძიების გამოყენების როგორც ფაქტობრივი, ისე ფორმალური საფუძვლები. კერძოდ, დანაშაულებრივი საქმიანობის გაგრძელების, მტკიცებულებათა მოპოვებაში ხელშეშლისა და მიმალვის საფრთხეები და თითოეული ამ საფრთხის ინტენსივობისა და მნიშვნელობის გათვალისწინებით, მიიღო გადაწყვეტილება, ბრალდებულის მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენების თაობაზე.

საქმეზე წინა სასამართლო სხდომა 2022 წლის 21 ივნისს 12:00 საათზე გაიმართება“ – ნათქვამია განცხადებაში.

# სააკაშვილის მოსამართლე ნინო ჩახნაშვილმა პენიტენციურ სამსახურს დაავალა, სააკაშვილთან ცენტრ „ემპათიას“ ექსპერტები დაუშვას

საქართველოს მესამე პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის საქმის მოსამართლე ნინო ჩახნაშვილმა პენიტენციურ სამსახურს დაავალა, სააკაშვილთან ცენტრ „ემპათიას“ ექსპერტები დაუშვას.

აღნიშნულთან დაკავშირებით ადვოკატებმა შესაბამისი შუამდგომლობა თბილისის საქალაქო სასამართლოში დააყენეს.

აღნიშნულ შუამდგომლობასთან დაკავშირებით, ბრალდების მხარემ განმარტა, რომ ვინაიდან ადამიანის ჯანმრთელობას ეხება საქმე, ისინი დაცვის მხარის შუამდგომლობას არ ეწინააღმდეგებიან.

25 მაისის სასამართლო პროცესზე მოსამართლე ნინო ჩახნაშვილმა პენიტენციური სამსახურის მიერ გამოგზავნილი განცხადებაც წაიკითხა, რომლის მიხედვითაც, ვინაიდან დღის წესრიგში სააკაშვილის კლინიკაში გადაყვანის საკითხი იდგა, მასთან ამ მიზეზით ვერ მოხერხდა




ექსპერტების დაშვება.

შეგახსენებთ, რომ მიხეილ სააკაშვილის მიერ საზღვრის უკანონო კვეთის ფაქტთან დაკავშირებით გამოძიება პირველ ოქტომბერს დაიწყო. აღნიშნული საქმის ფარგლებში ბრალდება კიდევ 4 პირს – ელგუჯა ცომაიას, ზურაბ და შალვა წოწორიებსა და გიორგი ნარიმანიძეს აქვთ წაყენებული და ის ცალკე წარმოებად მიმდინარეობს.

აღნიშნული პირები ბრალს აღიარებენ.

– ვფიქრობ, შეუზღუდავად, მათ შორის, დღეიდან უნდა შეეძლოთ მიხეილ სააკაშვილს ექსპერტიზა ჩაუტარონ.

ამის შესახებ საქართველოს მესამე პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის ადვოკატმა შოთა თუთბერიძემ განაცხადა.

როგორც მან აღნიშნა, სააკაშვილის ჯანმრთელობის მდგომარეობიდან გამომდინარე, მასთან ექსპერტიზის ჩასატარებლად შესაძლოა, რამდენიმე ვიზიტი იყოს საჭირო.

– ეს გადაწყვეტილება ძალიან მნიშვნელოვანია დაცვის მხარისთვის, რადგან ის გვაძლევს მიხეილ სააკაშვილის ჯანმრთელობის ექსპერტიზის შესაძლებლობას. ბუნებრივია, ამან რაიმე ტიპის ილუზიები არ უნდა შეგვიქმნას, ეს არის ძალიან მცირე პოზიტიური ნაბიჯი, რაიმე განსაკუთრებული მოლოდინი, ბუნებრივია, ამ გადაწყვეტილებამ არ უნდა შეგვიქმნას, რადგან ეს იყო არა მართლმსაჯულების აქტი, არამედ იძულებითი ღონისძიება.

კანონით დადგენილი ვადები არ არის, თუმცა, იმედი მაქვს, პენიტენციური სამსახური დანაშაულს აღარ ჩაიდენს უკვე და ექსპერტებს დაბრკოლებას აღარ შეუქმნის, რადგან ეს იქნება არა მხოლოდ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის დარღვევა, არამედ სასამართლო გადაწყვეტილების შეუსრულებლობა, რაც სისხლის სამართლებრივ პასუხისმგებლობას იწვევს. ვფიქრობ, შეუზღუდავად, მათ შორის, დღეიდან უნდა შეეძლოთ მიხეილ სააკაშვილს ექსპერტიზა ჩაუტარონ. ექსპერტიზის ჩატარება შეიძლება მხოლოდ ერთ ვიზიტს მოიცავდეს, თუმცა, იმის გათვალისწინებით, რომ სააკაშვილის მდგომარეობა ძალიან რთულია, ალბათ, ექსპერტიზას, როგორც მინიმუმ, რამდენიმე ვიზიტი დასჭირდება, – განაცხადა თუთბერიძემ.

# ხაშურში მკვლელობისთვის 1 პირს ბრალი წაეყენა

საქართველოს პროკურატურამ, ხაშურის რაიონის სოფელ ხცისში მომხდარი განზრახ მკვლელობის და ცეცხლსასროლი იარაღის და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა, შენახვა, ტარების ფაქტზე ერთ პირს ბრალდება წარუდგინა.

ამის შესახებ ინფორმაციას საქართველოს პროკურატურა ავრცელებს.

შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ ჩატარებული გამოძიებით დადგინდა, რომ 21 მაისს, ხაშურის რაიონის სოფელ ხცისის მიმდებარე ტერიტორიაზე, გ.ბ.-მ შურისძიების მოტივით, განზრახ მოკვლის მიზნით, ცეცხლსასროლი იარაღიდან გასროლით, ჯ.პ.-ს თავის არეში ჭრილობა მიაყენა. მიღებული დაზიანების შედეგად დაზარალებული ადგილზე გარდაიცვალა.

როგორც პროკურატურის მიერ გავრცელებულ ინფორმაციაშია ნათქვამი, სამართალდამცველებმა გ.ბ. 24 მაისს დააკავეს.

მას ბრალდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 236-ე მუხლის მე-3, მე-4 ნაწილებით ( ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა, შენახვა, ტარება) და 108-ე მუხლით (განზრახ მკვლელობა) წარედგინა, რაც სასჯელის სახედ და ზომად 7-დან 15 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

პროკურატურის შუამდგომლობის საფუძველზე, სასამართლომ ბრალდებულს აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა შეუფარდა.

სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიება გრძელდება.

# პოლონეთში ზუგდიდელი ქალი ქმარმა მოკლა

პოლონეთში ოჯახური კონფლიქტის ნიადაგზე ქმარმა ცოლი მოკლა.



ზუგდიდიდან ემიგრაციაში წასული ოჯახი, პოლონეთში სამ შვილთან ერთად ცხოვრობდა.

პოლონური მედიის ინფორმაციით, კაცმა ქალს დაზიანებები ყელის არეში მიაყენა, შემდეგ კი დანაშაულის დაფარვის მიზნით, ბინის დაწვა სცადა. დაკავებისას კაცმა თვითდაზიანებები მიიყენა, ის საავადმყოფოშია გადაყვანილი.

მომხდარს პოლონეთის პროკურატურა იძიებს.

არსებული ცნობით, ქმარზე შემაკავებელი ორდერი რამდენჯერმე იყო გამოწერილი.

– სულ უკმაყოფილება ჰქონიათ, ბოლოს ამ ბიჭს ჰქონდა შემაკავებელი ორდერი. აძლევდა იმის უფლებას, რომ მოსულიყო, ენახა შვილები და წასულიყო. მისულა, კარი შეუმტვრევია, ეს გოგო ყელგამოჭრილია, თვითონაც ყელში აქვს გამოსმული დანა, მერე სახლს მოუკიდა, რომ კვალი წაეშალა, საბუთები ყველაფერი დამწვარია. ოჯახის მოთხოვნაა, ის მაინც გაგვიკეთონ, რომ მიცვალებული და ბავშვები აქეთ ჩამოვიყვანოთ, ძალიან რთული მდგომარეობაა, – ამბობს ნათესავი.

ოჯახის 5 წევრი ევროპის სხვადასხვა ქვეყანაში სამუშაოდაა წასული. ისინი ხელისუფლებისგან დახმარებას ითხოვენ, რომ სამშობლოში დაბრუნდნენ.

# შანიძის ქუჩაზე დაჭრილი 33 წლის ბექა მახარაძეა



თბილისში, შანიძის ქუჩაზე მომხდარი დაჭრის შესახებ ახალი დეტალები ხდება ცნობილი. დაჭრილია 33 წლის ბექა მახარაძე, რომელსაც ჭრილობა ცეცხლსასროლი იარაღით გულ-მკერდის არეში აქვს მიყენებული.

დაჭრილი გვიან საღამოს ხეჩინაშვილის სახელობის კლინიკაში შეიყვანეს, მას გადაუდებელი ოპერაცია დასჭირდა. ექიმების ინფორმაციით, მისი მდგომარეობა მძიმეა.

შემთხვევის ადგილზე ექსპერტ-კრიმინალისტები მუშაობდნენ. გაჩხრიკეს ავტომობილიც, რომელიც დაჭრილ ბექა მახარაძეს ეკუთვნის.

ადგილობრივები და თვითმხილველები ამბობენ, რომ გვიან ღამით მათ 10-მდე გასროლის ხმა გაიგეს, რასაც წინ ხმაური და რამდენიმე ადამიანს შორის დაპირისპირება უძღოდა.

მომხდარის მიზეზი ამ ეტაპზე უცნობია.

როგორც ადგილობრივები ამბობენ, დაპირისპირებაში მონაწილე პირები შანიძის ქუჩის მცხოვრებლები არ არიან და მათთვის უცნობია, ვინ იყვნენ ეს პირები.

– აივანზე ვიდექი და ვიყურებოდი, როდესაც შევედი, დაახლოებით 20 წუთში, 5-6 გასროლის ხმა გავიგე. შემდეგ დავინახე, ახალგაზრდა ბიჭი ყვიროდა, მერე უცებ ბევრი ადამიანი მოგროვდა“ – ამბობს თვითმხილველი.

„მთავარი არხისთვის“ სწორედ ბექა მახარაძეა ის ძალოვანი, რომელმაც, არხის დამფუძნებლის უფლებადამცველების მტკიცებით, გიორგი რურუას იარაღი ჩაუდო.

საქმეზე გამოძიება ორი – ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანებისა და იარაღის უკანონო ტარების მუხლებით მიმდინარეობს.

# თაღლითურად დაეუფლა 1.288.000 ლარს

## „გეპეის“ საფინანსო დეპარტამენტის უფროსი სპეციალისტი დააკავეს

პროკურატურის ცნობით, წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ, სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით დიდი ოდენობით თანხის თაღლითურად დაუფლების ფაქტზე „ტექნიკური უნივერსიტეტის“ საფინანსო დეპარტამენტის უფროსი სპეციალისტი დააკავეს.

ის დანაშაულებრივი ჯგუფის სხვა პირებთან ერთად თაღლითურად დაეუფლა „ტექნიკური უნივერსიტეტის“ კუთვნილ 1.288.000 ლარს.

გამოძიებით დადგინდა, რომ „ტექნიკური უნივერსიტეტის“ საფინანსო დეპარტამენტის უფროსი სპეციალისტი – მ.ა. სხვადასხვა პერიოდში, სახელფასო ბაზების შევსებისას, ხელფასის დასარიცხად უთითებდა ტექნიკური უნივერსიტეტის თანამშრომლების პირად მონაცემებს, ხოლო მათ სახელფასო ანგარიშის ნაცვლად – საკუთარ საბანკო ანგარიშს, რის შედეგადაც მითითებული თანხები მის ანგარიშზე ირიცხებოდა.

გარდა ამისა, ბრალდებული ხელფასის გასაწერად შედგენილ დოკუმენტში, ხელფასის დასარიცხად უთითებდა მისი სანაცნობო წრიდან მოძიებული პირების პირად მონაცემებს და საბანკო ანგარიშის ნომრებს, რის შედეგადაც ბრალდებულის ნაცნობ პირებს, რომლებიც არ წარმოადგენდნენ „ტექნიკური უნივერსიტეტის“ თანამშრომლებს, ერიცხებოდათ ვითომდა შრომითი ანაზღაურება.

მ.ა.-ს ბრალდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით და მე-3 ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტით წარედგინა, რაც სასჯელის სახედ და ზომად ექვსიდან ცხრა წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

პროკურატურამ ბრალდებულის მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით, პატიმრობის შეფარდების შუამდგომლობით თბილისის საქალაქო სასამართლოს უკვე მიმართა.

# დონბასის სეპარატისტი ლიდერი „სამხედრო ოპერაციის“ დაჩქარებას ითხოვს



დონეცკის ოლქის რუსეთის მიერ მხარდაჭერილი სეპარატისტების ლიდერი, დენის პუშილინი აცხადებს, რომ ჩრდილოეთის მიმართულებით სამხედრო ოპერაცია უნდა დაჩქარდეს.

მისი მტკიცებით, კიევმა რეგიონის ჩრდილოეთით მდებარე ქალაქებს წყლის მიწოდება დაუბლოკა.

– ჩვენთვის ჩრდილოეთის მიმართულება ძალიან მნიშვნელოვანია. წყალმომარაგების კუთხით მდგომარეობა მძიმეა ქალაქებში დონეცკში, მაკიივკასა და გორლოვკაში.

ეს გამოწვეულია იმით, რომ მტერმა პირველივე შესაძლებლობისთანავე შეწყვიტა წყალმომარაგება. იმის გათვალისწინებით, რომ სლავიანსკის მიმართულებით არის კიდევ ექვსი სახიფათო მონაკვეთი, ჩვენ უნდა დავაჩქაროთ ოპერაცია, – განაცხადა პუშილინმა.

# ევროკავშირში რუსეთის ბანკის 23 მილიარდი დოლარის ღირებულების აქტივებია გაყინული

ევროკავშირის სახელმწიფოებმა რუსეთის ცენტრალური ბანკის დაახლოებით 23 მილიარდი ევროს ღირებულების აქტივები გაყინეს.

ამის შესახებ ევროკომისარმა მართლმსაჯულების საკითხებში, დიდიე რენდერსმა განაცხადა.

როიტერი წერს, რომ ეს მაჩვენებელი მოსალოდნელზე ბევრად უფრო ნაკლებია.

რუსეთმა საჯაროდ განაცხადა, რომ დასავლეთის სანქციებმა გამოიწვია მისი ცენტრალური ბანკის აქტივების დაახლოებით 300 მილიარდი დოლარის ღირებულების გაყინვა გლობალურად.

დიდიე რენდერსის ინფორმაციით კი, ევროკავშირის ქვეყნებში ამ აქტივების მხოლოდ ერთ მეათედზე ნაკლებია დაყადაღებული. ამასთან, დიდიე რენდერსის განცხადებით, ევროკავშირის ქვეყნებმა ასევე გაყინეს ფიზიკური პირების დაახლოებით 10 მილიარდი ევროს ღირებულების აქტივები, როგორიცაა: იახტები და ვილები, რომლებიც დაკავშირებულია ოლიგარქებთან და კრემლთან კავშირში მყოფ ოფიციალურ პირებთან.

# ნაფტალი ბენეტი: „მივესალმები ჩემი მეგობრის, ბაიდენის, გადაწყვეტილებას“



ისრაელის პრემიერ-მინისტრის ნაფტალი ბენეტის განცხადებით, ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი ჯო ბაიდენი ირანის რევოლუციური გვარდიის ტერორისტული სიიდან ამოღებას არ აპირებს.

ბენეტის თქმით, მას თეთრი სახლის ლიდერმა აცნობა, რომ ის არ მიიღებს ირანის მოთხოვნას, „ისლამური რევოლუციის გუშაგთა კორპუსისთვის“ ტერორისტული სტატუსის გაუქმების შესახებ.

– მივესალმები აშშ-ის ადმინისტრაციის, ჩემი მეგობრის, პრეზიდენტ ბაიდენის გადაწყვეტილებას, დატოვოს ირანის ისლამური რევოლუციის გუშაგთა კორპუსი თავის კანონიერ ადგილზე – უცხოური ტერორისტული ორგანიზაციების სიაში, – დასძინა ბენეტმა.

ისრაელის პრემიერ-მინისტრმა პრეზიდენტ ბაიდენს მისი ქვეყნის მხარდაჭერისთვის მადლობა გადაუხადა და აღნიშნა, რომ აშშ-ის პირველი პირი ისრაელის ნამდვილი მეგობარია, ირანთან დაკავშირებით კი მისი ეს გადაწყვეტილება მორალურად სწორია.

დასავლური მედიის ცნობით, ეს ნაბიჯი ირანის ბირთვული შეთანხმების აღდგენის შანსებს მძიმე დარტყმას მიაყენებს.

# ფილიპინების პრეზიდენტი ყოფილი პრეზიდენტის შვილი გახდა



ფერდინანდ მარკოს უმცროსი ფილიპინების ახალ პრეზიდენტად აირჩიეს.

პარლამენტის მიერ გამოქვეყნებული საბოლოო მონაცემების თანახმად, მან 31,6 მილიონზე მეტი ხმა, ანუ მთლიანი ხმების 58,8 პროცენტი მიიღო.

მისი მთავარი კონკურენტი ლენი რობრედო 15 მილიონზე მეტი ხმით მეორე ადგილზე გავიდა.

წარმომადგენელთა პალატისა და სენატის ერთობლივ სხდომაზე ოფიციალურად მოხდა შედეგების რატიფიცირება, რის შემდეგაც მარკოსი ფილიპინების მე-17 პრეზიდენტად გამოაცხადეს.

მისი ინაუგურაცია 30 ივნისს გაიმართება.

ცნობისთვის, როგორც მედია წერს, მისი დიქტატორი მამა ფერდინანდ მარკოს უფროსი, რომელიც ადამიანის უფლებების დარღვევითაა ცნობილი, ფილიპინების პრეზიდენტის პოსტს 1965-1986 წლებში იკავებდა მანამ, სანამ ის სახალხო აჯანყების შედეგად არ ჩამოაგდეს.

როგორც დასავლური მედია წერს, მარკოსი აღფრთოვანებულია მამის მმართველობის პერიოდით. მან მაშინდელ რეჟიმს ოქროს ხანა უწოდა, რამაც ადამიანის უფლებათა დამცველთა ჯგუფებში შიში გააჩინა, რომ ის ქვეყნის მართვას შესაძლოა დიქტატორი მამის მსგავსი მეთოდებით შეეცადოს.

# ავღანეთში ოთხი აფეთქება მოხდა

## დაღუპულია მინიმუმ 12 ადამიანი

ავღანეთის ქალაქ მაზარ-ი-შარიფსა და დედაქალაქ ქაბულში მდებარე მეჩეთში მომხდარი აფეთქებების შედეგად სულ მცირე 12 ადამიანი დაიღუპა.

მედიის ინფორმაციით, ქალაქ მაზარ-ი-შარიფში ასაფეთქებელი მოწყობილობები მიკროავტობუსში იყო დამონტაჟებული, მეჩეთში კი აფეთქება მაშინ მოხდა, როდესაც მოქალაქეები საღამოს ლოცვას ესწრებოდნენ.

ამასთან, აფეთქებების სერიის შედეგად დაშავდა მინიმუმ 25 ადამიანი.

მაზარ-ი-შარიფში მომხდარ აფეთქებებზე პასუხისმგებლობა ე.წ. „ისლამურმა სახელმწიფომ“ აიღო.

**მოამზადა ნიკა თევზაძემ**



დაზმირ გელენავა

## იუბილეს ვულოცავ ჩემს მეგობარს ავთანდილ გიგოს ძე ფაილოძეს

თავისი ორი ვაჟითა და მეუღლით.

როგორ მახსოვს, ავთო, სასტუმრო „ივერიაში“ უნდა შევსულიყავი, რუსთაველისკენ გავიხედე, დაგინახე და შენსკენ წამოვედი. ეს იყო 2015 წელს, როცა შენ მაჩუქე შენი ავტორობით გამოშვებული წიგნი სათაურით „მთვარე დემონთა ტყვეა“. ჩემო ავთო, დაჯილდოვებული ხარ ღირსების ორდენით, თუ ასე გააგრძელებ, შესაძლოა, გორგასლის ორდენიც მიიღო.

**ო/სამხედრო ძალების ვეტერანი დაზმირ გელენავა**



# რომას პირველი და მოურინიოს ყველა თასი

**რომა-ფეიენოორდი 1:0**
**ტირანა. კომბიოტარ არენა**
**1:0 ძანიოლო (32)**



კონფერენს ლიგის პირველი გამარჯვებული იტალიური რომაა. ეს ტურნირი წელს პირველად ჩატარდა და სადებიუტო სეზონი რომაელთათვის და ჟოზე მოურინიოსთვის წარმატებული გამოდგა.

რომამ საერთოდ პირველად მოიგო ევროტურნირი, ხოლო ჟოზე მოურინიოს უკვე ყველა ევროპული ტურნირი აქვს მოგებული, რაც მისი მწვრთნელობის პერიოდში ჩატარებულა.

ფინალში ორივე გუნდი ფრთხილი იყო. მოურინიოსგან ეს გასაკვირიც არ არის – ისედაც ფრთხილი ფეხბურთის მიმდევარია, ფინალებში კი, შედეგზე ორიენტირებული. ნახევარი საათი ულიმლამოდ გაილია და იქვე გოლი გავიდა. ჯანლუკა მანჩინის ჩაწოდებულ ბურთს საჯარიმოში ნიკოლა ძანიოლო დაუხვდა და, როგორც შემდეგ გაირკვა, ტიტულის მომტანი გოლი გაიტანა.

გოლის შემდეგ რომა ინერციით უფრო აქტიური იყო, მაგრამ ძალიან მცირე ხნით, რადგან ტაიმის ბოლოს უკეთ ფეინოორდი გამოიყურებოდა. აი, შესვენების შემდეგ კი, ნიდერლანდული გუნდი მეტად უტევდა, რადგან გათანაბრება სურდა. თუმცა, მომენტი რომას ჰქონდა – მანჩინიმ ძელს გაარტყა ბურთი. იტალიელის მომენტს პასუხად ტილის დარტყმა მოჰყვა, მაგრამ გუს ტილს რუი პატრისიუმ არ გაატანინა. პატრისიუს ვერც ტაირელ მალასიამ აჯობა. ფეინოორდი უფრო მწვავედ უტევდა, მაგრამ ბოლომდე კლასი მაინც არ ჰყოფნიდა და დასკვნით ფაზაში უჭირდა.

მე-2 ტაიმის შუიდან რომამ ეტაპობრივად ბურთი საკუთარი კარიდან შორს გადაიტანა და უკვე თავად იყო ახლოს, ანგარიში უფრო სოლიდური გაეხადა – ვერეტისა და პელეგრინის დარტყმები ფეინოორდის მეკარემ მოიგერია. ბოლო წუთებმა მაურინიოს სტილში ჩაიარა – რომა კლავდა დროს და ცდილობდა, მინიმალური უპირატესობა შეენარჩუნებინა. ასეც მოხდა...

**მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი –** რუი პატრისიუ

ასეთ მატჩში რთულია ვინმეს გამოყოფა. კარგი იყო ძანიოლო, რომას დაცვა, მაგრამ მეკარეზე შევჩერდით. პატრისიუმ 2 რთული ბურთი მოიგერია და გუნდს პირველი ტიტულის მოპოვებაში დაეხმარა.

**ჟოზე მოურინიო:**

– მოედანზე გავედით არა სამუშაოდ, არამედ ისტორიის დასაწერად და ეს გავაკეთეთ. თავიდანვე ვიგრძენი, რომ კონფერენს ლიგას მოვიგებდით. მიუხედავად იმისა, რომ მატჩები უფრო და უფრო რთულდებოდა. ამ თასზე ვიყავით ორიენტირებულები და ეს ჩემპიონატში ქულების დაკარგვად დაგვიჯდა. ვრჩები რომაში, ამაში ეჭვი არ მეპარება, რაც არ უნდა თქვან. რომში დარჩენა მინდა. კლუბს ჰყავს შესანიშნავი, პატიოსანი მფლობელები და ეს ამბავი უნდა გაგრძელდეს. ჩვენ უნდა გავაგრძელოთ ამ პროექტზე მუშაობა და განვსაზღვროთ მომავალი სეზონის განვითარების გეგმა. ყველა საერთაშორისო თასს აქვს მნიშვნელობა. მხოლოდ მე და ტრაპატონიმ შევძელით 5-ჯერ ევროთასის მოპოვება. თავს მოხუცად ვგრძნობ. პირველად გავიმარჯვე 2003 წელს და ახლა – 2022-ში. ამჯერად ვაპირებ გამარჯვებით ტკბობას და არდადეგების ჩემს სანაპიროზე გატარებას.

**არნე სლოტი:**

– თამაში ძალიან დაძაბული იყო. თავიდან ყველაფერი კარგად გამოგვივიდა, რომასგან განსხვავებით. მაგრამ ჩვენ ვერ შევძელით მომენტების შექმნა და ეს არ გვახარებდა. ზოგჯერ ფეხბურთელები საუკეთესო გადაწყვეტილებებს არ იღებდნენ. რომამ გოლის წყალობით დიდი უპირატესობა მიიღო და ყველაფერი გაგვირთულდა. ფინალში წაგება არც ისე სასიამოვნოა, მაგრამ ჟოზე მოურინიოს გაწვრთნილ გუნდს შევხვდით. წარსულში ჩვენ ვახერხებდით უკან დახევას და ძლიერი ნებისყოფის მოკრებას, მაგრამ იტალიურ გუნდთან ფინალში ძალიან რთულია შანსის შექმნა, განსაკუთრებით მაშინ, როცა შენი მეტოქე ჟოზე მოურინიოა. მე არ ვამაყობ ჩვენი თამაშით, ეს არის ძლიერი იმედგაცრუება. გვინდოდა, თასი როტერდამში ჩაგვეტანა, მაგრამ ეს ვერ მოვახერხეთ.

# საქართველოს ნაკრებში ისევ ცვლილებაა – ოქრიაშვილის ნაცვლად ალთუნაშვილი



საქართველოს ეროვნული საფეხბურთო ნაკრები უეფას ერთა ლიგის მატჩებისთვის მზადებას განაგრძობს.

ვილი სანიოლის კრებულმა საწვრთნელი შეკრების სავარჯიშო მე-2 დღეს კვლავ არასრული შემადგენლობით შეძლო. მთავარი მწვრთნელის განკარგულებაში 15 ლეგიონერი იყო. მე-2 ვარჯიშის შემდეგ ნაკრებს გიორგი მამარდაშვილი, ოთარ კაკაბაძე, გიორგი ჩაკვეტაძე და ნიკა კვეკვესკირი შეუერთდნენ.

მე-3 დღეს გუნდს ეროვნულ ჩემპიონატში მოთამაშე ფეხბურთელები დაემატნენ, ხოლო სრულად 29 მაისს შეიკრიბება.

ერთია, სანიოლის გამოძახებულ შემადგენლობაში უკვე მეორე ცვლილებაა. ივნისის მატჩებში ჩვენს ეროვნულ გუნდს თორნიკე ოქრიაშვილი ვერ დაეხმარება. მის ნაცვლად ფრანგმა სპეციალისტმა შეკრებაზე ბათუმის დინამოს საყრდენ ნახევარმცველ სანდრო ალთუნაშვილს უხმო.

შეგახსენებთ, რომ მანამდე გიორგი ქვილითაია ბექა მიქელთაძემ ჩაანაცვლა.

კიდევ ერთხელ შეგახსენებთ **საქართველოს ნაკრების შემადგენლობას.**

**მეკარე:** გიორგი ლორია (ანორთოსისი, კვიპროსი), გიორგი მამარდაშვილი (ვალენსია, ესპანეთი), ლაზარე კუპატაძე (დინამო ბთ);

**დაცვა:** გურამ კაშია (სლოვანი, სლოვაკეთი), ოთარ კაკაბაძე (კრაკოვი, პოლონეთი), გურამ გიორბელიძე (დინამო, გერმანია), დავით ხოჭოლავა (კოპენჰაგენი, დანია), ლუკა ლოჩოშვილი (ვოლფსბერგერი, ავსტრია), ლაშა დვალი (ფერენცვაროში, უნგრეთი), გრიგოლ ჩაბრაძე, მამუკა კობახიძე, ირაკლი აზაროვი (ყველა დინამო ბთ), სოლომონ კვერკველია (გაგრა);

**ნახევარდაცვა:** საბა ლობჟანიძე (ჰატაისპორი, თურქეთი), ნიკა კვეკვესკირი (ლეხი, პოლონეთი), ოთარ კიტეიშვილი (შტურმი, ავსტრია), ხვიჩა კვარაცხელია, ზურიკო დავითაშვილი, ვლადიმერ მამუჩაშვილი, სანდრო ალთუნაშვილი (ყველა დინამო ბთ), ვაკო გვილია (ჩენსტოხოვა, პოლონეთი), ანზორ მექვაბიშვილი (დინამო თბ), გიორგი ჩაკვეტაძე (ჰამბურგი, გერმანია), გიორგი აბურჯანია (ჟილ ვისენტე, პორტუგალია), გიორგი წიტაიშვილი (ვისლა, პოლონეთი), ვაკო ყაზაიშვილი (ულსანი, ს.კორეა);

**თავდასხმა:** ბუდუ ზივზივაძე (უიპეშტი, უნგრეთი), გიორგი ქვილითაია (აპოელი, კვიპროსი), გიორგი მიქაუტაძე (სერენი, ბელგია).

**მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა**

## განცხადებები

• 45-წლიანი გამოცდილებით გთავაზობთ პარაფსიქოლოგის მომსახურებას – გაუმართლებლობა, ქალის ბედის გახსნა, მტრის ჩამოშორება, შებოჭილობა, დეპრესია, კოშმარული სიზმრები, პიროვნებებს შორის აგრესიები, მოღალატე ქმრის მორჯულება, ეჭვიანობა, თვითმკვლელობის სურვილი, პათოლოგიური სიმთვრალე და კიდევ მრავალი პრობლემის მოგვარება, შესაძლებელია პაციენტის გარეშეც. ფოტოსურათი აუცილებელია. ტელ: 599-49-84-23 ნანა. მიღება წინასწარი ჩაწერით.



# გოლების ცვენა ბათუმში, სამგურალი ფავორიტებთანაც არაფერს თმობს

### დინამო (ბთ)-სამგურალი 4:4

**ბათუმი. აჭარაბეთ არენა**

**1:0 კვარაცხელია (7), 1:1 ახვლედიანი (9), 2:1 ჟოვინო (12), 2:2 ჟერალდო (18), 3:2 დავითაშვილი (41), 3:3 რუხაძე (54), 4:3 კვარაცხელია (65პ), 4:4 კალანდარიშვილი (83)**

**დინამო:**კუპატაძე, ჩაბრაძე, მ.კობახიძე (ფალავანდიშვილი 80), რეხვიაშვილი, აზაროვი, ტეიდი, ალთუნაშვილი, ჯიღაური (ფანცულაია 90), დავითაშვილი (თ.გაფრინდაშვილი 67), ფლამარიონი, კვარაცხელია (ბიძინაშვილი 67)

**სამგურალი:** შოვნაძე, კიკაბიძე, ქურდაძე, მაისაშვილი (შ.ბურჯანაძე 46), კალანდარიშვილი, ბაშელეიშვილი, გილმორი, ახვლედიანი (სიმდიანკინი 80), ჩიხლაძე (გავაშელიშვილი 67), ჟერალდო (ვერულიძე 89), რუხაძე (ს.კუხიანიძე 67)

სანახაობრივი მატჩი გაიმართა ბათუმში. ლიდერმა დინამომ მე-3 ადგილზე მყოფ წყალტუბოს სამგურალს უმასპინძლა და, მიუხედავად იმისა, რომ 4-ჯერ იგებდა, მხოლოდ ფრეს გამორჩა.

სამგურალი კი ისევ გვაოცებს – გიორგი მიქაძის გუნდს უკვე 10 ტურია არ წაუგია და ბათუმშიც მაგრად იბრძოლა. ზღვისპირული გუნდი შეტევაში ერთ-ერთი გამორჩეულია და ეს დაამტკიცა კიდეც. თუმცა, სამგურალმა ბოლომდე იბრძოლა და...

8-გოლიან თამაშში სულ ბათუმელები გადიოდნენ წინ, წყალტუბოელები კი ათანაბრებდნენ. დინამოდან ხვიჩა კვარაცხელიამ დუბლი შეასრულა და სეზონში უკვე 8 გოლი მოუგროვდა. თითო-თითო ბურთი ჟოვინო ფლამარიონმა და ზურიკო დავითაშვილმა შეაგდეს. ფლამარიონი 10 გოლით ბომბარდირთა დავაში პირველზეა.

სამგურალიდან ილია ახვლედიანმა, ჟეფერსონ ჟერალდომ, ირაკლი რუხაძემ და ნიკა კალანდარიშვილმა გაიტანეს.

გოლების გარდა კიდევ რამდენიმე დასამახსოვრებელი მომენტი იყო. ძირითადად სამგურალის კართან, მაგრამ მათი მეკარე ლევან შოვნაძე ყოჩაღობდა. მომენტები იმერლებსაც ჰქონდათ. აქედან ერთი ბოლო წამებზე და შეეძლოთ შინ სულაც 3 ქულით გაბრუნებულიყვნენ. თუმცა, ანგარიში აღარ შეცვლილა.

### დინამო (თბ)-თელავი 3:2

**თბილისი. დინამო არენა**

**1:0 ფაცაცია (28სკ), 1:1 აშორტია (38), 2:1 კირკიტაძე (44), 2:2 ხაბულიანი (78), 3:2 ბილენკი (90)**

**დინამო:** პრიეტო, მალი (ანტილევსკი 83), ბენიო, კალანდაძე, ხარაბაძე, მექვაბიშვილი, ოსიყმაშვილი, თ.კირკიტაძე (გაბედავა 77), მოისწრაფიშვილი (ხვადაგიანი 77), კამარა (სტეფენი 90), ბილენკი

**თელავი:** სანიკიძე, ც.კაპანაძე, თოლორდავა, თევზაძე, ფაცაცია, ფირანაშვილი (ქოჩლაძე 46), პავაშიჩი, ჯიქია (კვერნაძე 88), პარკინაშვილი (აშორტია 24, გოშთელიანი 90), მახარობლიძე, მუჯირი (ხაბულიანი 46)

თბილისის დინამომ თელავს უმასპინძლა და მძიმე ბრძოლაში 3:2 დაამარცხა. დაძაბულ თამაშში პირველად დინამოელები დაწინაურდნენ: თელავის მეკარე ლუკა სანიკიძის შეცდომის მერე, ვაჟა ფაცაციამ საკუთარ კარში გაიტანა. თელაველებმა პირველივე ტაიმში გაათანაბრეს – იმედა აშორტიამ ჯარიმა შესანიშნავად დაჰკრა. თუმცა, შესვენების წინ დინამოელები ისევ იგებდნენ – მასპინძლები თორნიკე კირკიტაძის დარტყმის შემდეგ დაწინაურდნენ.

78-ე წუთზე თელავმა მეორედ გაათანაბრა – ცოტნე კაპანაძის პასით გიორგი ხაბულიანმა გაიტანა, მაგრამ მსაჯის მიერ კონპენსირებული დროის ბოლო წუთზე სტანისლავ ბილენკის დარტყმულმა თბილისელებს 3 ქულა მოუტანა – 3:2.

### სატურნირო ცხრილი:

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.დინამო (ბთ) | 16 | 10 | 5 | 1 | 41-13 | 35 |
| 2.დინამო (თბ) | 16 | 9 | 5 | 2 | 27-13 | 32 |
| 3.სამგურალი | 16 | 8 | 6 | 2 | 26-13 | 30 |
| 4.დილა | 15 | 8 | 2 | 5 | 17-12 | 26 |
| 5.საბურთალო | 15 | 6 | 5 | 4 | 19-15 | 23 |
| 6.თელავი | 16 | 5 | 5 | 6 | 19-16 | 20 |
| 7.გაგრა | 15 | 5 | 2 | 8 | 18-25 | 17 |
| 8.ტორპედო | 15 | 4 | 3 | 8 | 12-24 | 15 |
| 9.სიონი | 15 | 3 | 5 | 7 | 16-29 | 14 |
| 10.ლოკომოტივი | 15 | 0 | 0 | 15 | 11-46 | 0 |

*მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა*

# გიორგი ასანიძე ვერცხლის ვარსკვლავით დააჯილდოვეს

ძალოსნობის საერთაშორისო ფედერაციას გადაწყვეტილებით, საქართველოს ნაკრების მთავარი მწვრთნელი გიორგი ასანიძე ამ სახეობაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის სპორტული ღირსების ვერცხლის ვარსკვლავით დაჯილდოვდა.

დღეს ალბანეთში ევროპის ჩემპიონატი იწყება და ასანიძეს ჯილდო გახსნის საზეიმო ცერემონიალზე გადაეცემა.

ასანიძე, როგორც სპორტსმენი, 2004 წლის ათენის ოლიმპიური თამაშების გამარჯვებულია. წარმატებული გამოდგა მისი მწვრთნელობის პერიოდიც – ქართველმა ძალოსნებმა რამდენიმე სერიოზულ წარმატებას მიაღწიეს. ეს ლაშა ტალახაძის გარდა, რომელმაც ასანიძის მწვრთნელობისას ზედიზედ ორჯერ მოახერხა ოლიმპიური ჩემპიონობის მოპოვება.

თავად ტალახაძე კი, კონტინენტის უძლიერეს ძალოსანად იქნა დასახელებული. ევროპის ძალოსნობის ფედერაციის მიერ ჩატარებული გამოკითხვის შედეგად, სადაც ხმის მიცემა ელექტრონულად მიმდინარეობდა, კონტინენტის მოსახლეობამ საუკეთესოდ სწორედ ჩვენებური ცნო.



აღსანიშნავია, რომ ევროპის ფედერაციამ საუკეთესოთა გამოსავლენად გამოკითხვა პირველად ჩაატარა და ევროპის ჩემპიონატების 100 წლის იუბილეს დაამთხვია.

ჯილდო ტალახაძესაც ტირანაში გადაეცემა.

# ქუთაისი ჩემპიონობას მიუახლოვდა, ბათუმი ბრინჯაოს მედლის მფლობელია

საკალათბურთო კლუბი ქუთაისი სუპერლიგის ჩემპიონობას მიუახლოვდა. კოტე ტუღუშის გაწვრთნილმა გუნდმა მე-2 საშინაო მატჩიც მოუგო ოლიმპს და ფინალურ სერიაში 2:0 დაწინაურდა.

ეს კი იმას ნიშნავს, რომ იმერულ კლუბს ჩემპიონობამდე 1 მოგება აკლია, ხოლო ოლიმპს ტიტულის მოსაპოვებლად ზედიზედ 3 გამარჯვება ესაჭიროება. მსგავსი რამ საქართველოს ჩემპიონატში კი მომხდარა, მაგრამ ამის გაკეთება ძალიან რთული საქმეა. გავიხსენოთ, რომ ფინალურ სერიაში 0:2 ჩამორჩენის შემდეგ ჩემპიონობა თბილისის ვითამ იზეიმა, როცა 1998-99 წლების სეზონში რუსთავის აზოტს სერია 3:2 მოუგო. სულ ეს იყო.



წლეულს კი ასეთი რეალობაა: ქუთაისი, რომელიც საქართველოს ჩემპიონი ერთადერთხელ – 2016 წელს ყოფილა, ოლიმპს 2:0 უგებს და მეორე ტიტულის მოპოვებას ეშურება. თავის მხრივ, ოლიმპს საქართველოს ჩემპიონობა მოპოვებული არ აქვს. ოლიმპი ფინალში ერთადერთხელ, 2013 წელს იყო და შსს-აკადემიასთან 5-მატჩიან სერიაში 2:3 დამარცხდა.

დავუბრუნდეთ მატჩს: ფინალური სერიის მე-2 შეხვედრა ქუთაისელებმა უფრო თავისუფლად ჩაატარეს და გამარჯვების მოპოვება არ გასჭირვებიათ. მასპინძლებმა მატჩის ლიდერობაც თავიდანვე ხელთ იპყრეს და თამაშის ბოლომდე არც დაუთმიათ. ერთადერთხელ, თამაშის მე-13 წუთზე შემცირდა სხვაობა მინიმუმამდე (28:27), სხვა მხრივ კი ქუთაისელები დამაჯერებლად იგებდნენ. მატჩის ბოლო წუთზე მასპინძლების ლიდერობა 10 ქულას შეადგენდა და საბოლოოდ ოლიმპის კალათბურთელებმა ჩამორჩენის შემცირებაღა შეძლეს.

ქუთაისელთა გამარჯვებაში ყველა კალათბურთელს მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვის, გამორჩეული შედეგი კი სტივენ ფლეჯერს ჰქონდა – 18 ქულა. ადრიან ბოუიმ უნივერსალიზმი გამოავლინა და თავი 18 ქულას, 9 პასს და 8 მოხსნას მოუყარა. ფარის ბატონ-პატრონი იყო გიორგი კორსანტია, რომელმაც 20 მოხსნა მიითვალა, მაგრამ მხოლოდ 6 ქულა ჩააგდო. ოლიმპში 16 ქულით ბომბარდირი ედვარდ ეკიორი გახდა, რომელმაც თანაგუნდელთაგან ასევე უმეტესი 10 მოხსნა მიითვალა. 12 ქულა ილია ლონდარიძემ, ხოლო 10 – კევინ ობერვაიზერმა მიითვალა.

სუპერლიგის მე-3 ადგილის მფლობელი კი საკალათბურთო კლუბი ბათუმი გახდა. ბუბა ბერიშვილის გაწვრთნილმა ზღვისპირულმა კლუბმა 88:83 დაამარცხა თსუ და ბრინჯაოს მედლების მფლობელი გახდა. ამრიგად, ბათუმელებმა მიმდინარე სეზონში თასის გათამაშების მოგების შემდეგ სუპერლიგის საპრიზო ადგილი დაიკავეს. ბათუმელთა მთავარი მწვრთნელისთვის, რომელმაც გუნდი ამ სეზონის წინ ჩაიბარა, კარიერაში მეორე ბრინჯაოს მედალი გახლდათ. მწვრთნელის რანგში ბუბა ბერიშვილმა ბრინჯაოს მედლები 4 წლის წინ მგზავრებშიც მოიგო.

მატჩს რაც შეეხება, საკმაოდ საინტერესო გამოდგა. ბათუმელებმა დამსახურებულად გაიმარჯვეს. აჭარული გუნდი თავიდანვე წინ გავიდა და მთელი მატჩის განმავლობაში ლიდერობდა. თსუ-ს კალათბურთელები გათანაბრებას ცდილობდნენ, მაგრამ მაქსიმუმი, რაც მოახერხეს, ჩამორჩენის მინიმუმამდე შემცირება იყო. ეს მოხდა ბოლო პერიოდში და გაჩნდა მოლოდინი, რომ უნივერსიტეტელები დაწინაურებასაც მოახერხებდნენ და დაძაბულ დასკვნით წუთებს ვიხილავდით. ამან არ გაამართლა. ბათუმელთა გუნდურმა თამაშმა, კარგმა დაცვამ და ცოტათი გამართლებამ ის შედეგი მოიტანა, რომ ბოლო წუთზე ზღვისპირელები 5 ქულით დაწინაურდნენ და მეტოქისთვის მიუწვდომელნი გახდნენ.

ბათუმელთაგან საუკეთესო შედეგი ბექა ბექაურს ჰქონდა, რომელმაც 26 ქულა და 14 მოხსნა მოაგროვა. 13 ქულა და 8 პასი საბა ლობჯანიძემ მოაგროვა, ხოლო რეზო ჩაჩანიძის, კაილი რიდლისა და სპენსერ კოლინსის ანგარიშზე 10-10 ქულა დაგროვდა. თსუ-ში 19 ქულით, 8 პასითა და 4-4 მოხსნა-ჩაჭრით საუკეთესო იყო ლოველ ქაბილი, 16-16 ქულა ნიკოლოზ დარბაიძისა და მიხეილ ბერიშვილის ანგარიშზე დაგროვდა.

მატჩის შემდეგ გაიმართა დაჯილდოების ცერემონიალი. ბათუმელთა გუნდის წევრები, მენეჯერები და მომსახურე პერსონალი საქართველოს კალათბურთის ეროვნული ფედერაციის საერთაშორისო ღონისძიებებისა და კალათბურთის განვითარების განყოფილების ხელმძღვანელმა გიორგი ზაბახიძემ დააჯილდოვა.


## სახალხო მკურნალ ლამარა თოდუას „მადლიერების წიგნი“ ათასი მორჩენილი პაციენტის სამადლობელ წერილს ინახავს.

თოდუების ცნობილი წამლები უამრავ დაავადებას კურნავს.

როგორც ლამარა თოდუა ამბობს, ნებისმიერი დაავადების განკურნებისთვის საჭიროა ორგანიზმის გაწმენდა.

**მადლიერ პაციენტთა რიცხვი ათასობითაა:**

**ლია თეთრაშვილი:** მქონდა მკერდის გამაგრება, მასტოპათია. ლამარა თოდუას მკურნალობით მთლიანად განვიკურნე.

**კლარა წიტაიშვილი:** კორონას შემდეგ დამეწყო საშინელი თმის ცვენა. ვცადე ძალიან ბევრი საშუალება, მაგრამ უშედეგოდ. ლამარა თოდუას წამლებმა თმის ცვენა ხომ შემიჩერა და თმა გაცილებით ხშირიც გამიხდა. ვისაც მსგავსი პრობლემა აქვს, ვურჩევ მიაკითხოს ქალბატონ ლამარას.

**თინა სორდია:** კორონამ დამიტოვა საშინელი ხველა და ქოშინი. ლამარა თოდუას წამლების მიღებიდან მესამე დღესვე შემისუსტდა ხველა, გულიც აღარ მეღლება. 5-6 დღის შემდეგ ძილიც გამიუმჯობესდა.

**ლილი კიზირია:** 83 წლის დედას წლები აწუხებდა ჰაიმორიტი, არც კი მჯეროდა, რომ მორჩებოდა, თოდუოების მალამოთი დედა დღეს თავს შესანიშნავად გრძნობს.

დღესასწაულების შემდეგ, ხშირად უჩივიან გულძმარვას (იჟოგას), ლამარა თოდუას გამწმენდი სითხეებით პრობლემა მოგეხსნებათ.

გაზაფხულზე ავიტამინოზი ხშირად თმის ბუდობრივი ცვენის მიზეზი ხდება. ლამარა თოდუა თავისი მალამოებით თმის ამოსვლის გარანტიას პირდება ყველა პაციენტს, ვინც მას მიაკითხავს.

ლამარა თოდუას მადლიერების წიგნი 5 ათასამდე მორჩენილი პაციენტის ჩანაწერებს ითვლის, სადაც ხშირად ამოიკითხავთ – „განვიკურნე სრულიად“.

ლამარა თოდუა კვალიფიციური კოსმეტოლოგია და მის მიერ მომზადებული მალამოები და ნიღბები კანს სრულ ელასტიკურობას უბრუნებს. არჩენს ჩირქოვან გამონაყარს, სწრაფად ახორცებს ნებისმიერი ხარისხის დამწვრობას, ყოველგვარი ნაირევისა და ლაქების გარეშე.

**მისამართი: საბურთალო, ოთარ ჭილაძის 166. მე-10 კორპუსი. ტელ.: 599-16-10-82, 593-99-62-52**

**სამგლოვიარო და მისალოცი განცხადებები მიიღება ტელ.: 599-532-690 – 12-დან 17 საათამდე**


## კროსვორდი ბ




**შვეულად:** 1. მადნის, ნახშირის და სხვა ნივთიერების ნარევი, ლითონის გამოსადნობად; 2. მუზეუმი პარიზში; 3. ქართული სანადიმო სიმღერა; 4. პატარა რესტორანი; 5. ქართული სამშენებლო კომპანია; 6. მუდმივი მყიდველი; 9. დაავადების ან მისი ნიშნების დამალვა ავადმყოფის მიერ; 10. უმაღლესი კვალიფიკაციის აფთიაქარი; 11. ავადმყოფური კბილების კრაჭუნი ძილში; 14. საწვავი სითხე; 16. მოკლე კინო სარეკლამო რგოლი; 18. პლანეტების მოძრაობის კანონების აღმომჩენი გერმანელი ასტრონომი; 20. ღვინის დიდი ქვევრი; 23. ესკალატორის გამომგონებელი ამერიკელი ინჟინერი; 24. კათოლიკური ჯვარი; 25. ფრანგული მინერალური წყალი; 26. ირლანდიური ცეკვა.

**თარაზულად:** 7. გერმანული ავიაკომპანია; 8. პრეზიდენტის სასახლე რომში; 12. ყველაზე გრძელი მდინარე საფრანგეთში; 13. სახელმწიფო აზიაში; 15. ალექსანდრე ყაზბეგის მოთხრობა; 17. წყნარი ოკეანისპირა ნავსადგური კანადაში; 19. მდინარე ქციას სახელწოდება ქვედა დინებაში; 21. მუსიკალურ-დრამატული ნაწარმოები; 22. ბერძნული ანბანის ბოლო ასო; 27. წინასწარი ზომების მიღება რაიმეს თავიდან ასაცილებლად; 28. საელჩოებისა და საკონსულოების თარჯიმანი.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. ჰიპოლოგია; 2. მერდინი; 3. მიკადო; 4. წრომი; 5. პლევრა; 11. მაუგლი; 12. ბატუტი; 14. გიდი; 16. გლობუსი; 17. ვივიენი; 19. ნარგილე; 21. თქორი; 22. ტოკაი.

**თარაზულად:** 6. სიტროენი; 7. გურიელი; 8. მოცვი; 9. ალპები; 10. დაიმი; 13. ჯინგო; 15. ეგზეგეტიკა; 18. ჰილტონი; 20. იოდი; 21. თუნუქი; 23. დისლოკაცია; 24. ნადური.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. ხუნტა; 2. ოკაცე; 3. ბაირაღი; 4. იგლუ; 5. წეკო; 6. ბაზალტი; 9. ჰემოთერაპია; 10. ინტელექტი; 11. ავარსირხვა; 14. ჰობოი; 16. გრიფი; 18. კელნერი; 20. ბავარია; 23. აურა; 24. ზებრა; 25. გზირი; 26. ლაპი.

**თარაზულად:** 7. განდაგანა; 8. ბატერფლაი; 12. ფაუნა; 13. ცვილი; 15. აზოტი; 17. ბანდეროლი; 19. ზვარი; 21. ზლოტი; 22. სვავი; 27. გრავირება; 28. დისპეფსია.

# ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


27 მაისი

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 2.8598

ევრო — 3.0488

დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი — 3.5725

100 რუსული რუბლი — 5.0012

## ამინდის პროგნოზი 27 მაისისათვის




## „სუხიშვილები“ საგასტროლო ტურნეს იწყებს




ანსამბლი „სუხიშვილები“ ხანმოკლე პაუზის შემდეგ კვლავ საგასტროლო ტურნეს უბრუნდება.

4 ივნისიდან ქართველი მოცეკვავეები ხორვატიელი მაყურებლის წინაშე წარდგებიან. ილიკო სუხიშვილი ანსამბლის წევრებთან ერთად აქტიურ რეპეტიციებს გადის.

ხორვატიის შემდეგ, „სუხიშვილები“ კონცერტებს ბულგარეთში, სერბეთში, რუმინეთსა და მოლდოვაში ჩაატარებენ.

ანსამბლის საგასტროლო ტურნე 19 ივნისს რუმინეთში დასრულდება.

## მსახიობები ლიტერატურისთვის ერთიანდებიან

„მსახიობები ლიტერატურისთვის“ – ასე ჰქვია პროგრამას, რომელსაც თბილისის წიგნის საერთაშორისო ფესტივალი 27 მაისიდან უმასპინძლებს.

თეატრისა და კინოს მსახიობები ნინო კასრაძე, მარიამ ჯოლოგუა, ანა ნიკოლაშვილი, ანი ტყებუჩავა, მაკა კასრაძე, რუსუდან ბოლქვაძე, კახა კინწურაშვილი, ანი ამინაშვილი, ზაალ ჩიქობავა, ნანა ხურითი, გიორგი შარვაშიძე, ირაკლი გოგოლაძე, გიორგი მარშანია, ლილი ხურითი, მარიამ თოფურია, მარიამ წულაია, გიგა ჯიშკარიანი, სალომე სუხიტაშვილი, ბუკა თოლორდავა, მარიამ ცქიფურიშვილი, ნათია ფარჯანაძე, თიკა ლაღიძე, ტასო ჭანტურაია, თამთა ინაშვილი წიგნის ფესტივალზე მისული მკითხველისთვის წარადგენენ როგორც ქართველი, ასევე უცხოელი ავტორების წიგნებს.

წიგნის საერთაშორისო ფესტივალზე მსახიობ მარინა ჯანაშიას გაიხსენებენ. მის შესახებ რუსუდან ბოლქვაძე, ნინო კასრაძე და დარეჯან ხარშილაძე ისაუბრებენ.

წლევანდელი ფესტივალის ფარგლებში წიგნებს წარადგენენ არა მარტო ცნობილი მსახიობები, არამედ მოზარდებიც. ნიკა კვარაცხელია ჯორჯ ორუელის რომანზე „1984“ ისაუბრებს, კატო ბახტაძე – ართურ გოლდენის რომანზე „გეიშას მემუარები“, ანდრო მინდიაშვილი – ხორხე ლუის ბორხესის მოთხრობაზე „მსოფლიო მზაკვრობის ისტორია“, ელენე მინდიაშვილი კი – ჯონ სტეინბეკის რომანზე „ედემის აღმოსავლეთით“.

გიორგი მარშანია განსაკუთრებულ საჩუქარს უმზადებს პატარა მკითხველს. იგი წარადგენს დამხმარე სახელმძღვანელოს პირველკლასელთათვის „ჟირაფი ჟოზეს სავარჯიშოების კრებული“.

აზროვნების აკადემიის „ლიტერატოს“ მოსწავლეები კი ისაუბრებენ თემებზე: რატომ უნდა წავიკითხოთ წიგნები, ლიტერატურა და ჰუმანიზმი, რას გვატყუებს ლიტერატურა და რას – არა, წიგნები და ტექნოლოგიები, მარადიული ლიტერატურა, ნამდვილი და ყალბი ლიტერატურა, წიგნების თავისუფლება.

## ლადო გუდიაშვილის საგამოფენო დარბაზი რეზო ჩხეიძეს დაეთმობა

მხატვარ ლადო გუდიაშვილის საგამოფენო დარბაზი კინორეჟისორ რეზო ჩხეიძის შემოქმედების ამსახველ გამოფენას დაეთმობა.




29 მაისამდე გალერეაში მისული დამთვალიერებელი ცნობილი ქართველი კინორეჟისორის სხვადასხვა ცნობილ ფილმზე მუშაობის დროს გადაღებულ საინტერესო და ფართო საზოგადოებისთვის უცნობ ნამუშევრებს იხილავს.

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

## იუმორი

პატიმარი ახალ თანამესაკნეს ეკითხება:

– რისთვის ზიხარ?

– მოწონებისთვის.

– იტყუები. მოწონებისთვის ხუთ წელს იძლევიან, შენ კი რვა გაქვს მისჯილი. აღიარე, გააზიარე ხო?

•••

ერთი მეგობარი მეორეს ეკითხება:

– აბა, როგორ მიდის ცხოვრება?

– რა ვიცი აბა, ცოლი რომ მეკითხება: „დღეს რას ისურვებ ვახშმად?“ ვერასოდეს ვერ ვიცნობ.

•••

ცოლი ქმარს ეკითხება:

– ძვირფასო, ჩემთვის გიღალატია?

– რას ამბობ ძვირფასო, რა ღალატი, უბრალოდ, თავს ცოტა გართობის უფლება მივეცი...

•••

მამაკაცი ექიმს შესჩივის, რომ სხვადასხვა ტკივილები აწუხებს. ექიმი ეუბნება:

– სასწრაფოდ უნდა დაანებოთ თავი მოწევას, დალევა მხოლოდ დღესასწაულების დროს და ისიც ნორმის ფარგლებში. სამსახურში ნუ შეყოვნდებით. სახლში საღამოს შვიდ საათზე გვიან ნუ დაბრუნდებით...

– კარგით, კარგით, ექიმო, დანარჩენს ცოლი მეტყვის სახლში.

•••

ერთი დაქალი მეორეს ეუბნება:

– იცი, გუშინ ახალი ყმაწვილი გავიცანი და თავისთან მიმიწვია, შიშვლად პოზირებისთვის.

– შენ, რა თქმა უნდა, ეტყოდი, რომ მენატურედ არასოდეს გიმუშავია. ასეა ჰო?

– რა თქმა უნდა, თუმცა მან მიპასუხა, რომ ამას მნიშვნელობა არ აქვს, თურმე არც ისაა მხატვარი.

•••

მამაკაცი ფსიქიატრთან მიღებაზეა და შესჩივის:

– ექიმო, ყოველ ღამე ერთსა და იმავე საშინელ სიზმარს ვხედავ.

– მაინც რა სიზმარს?

– ვხედავ, რომ ჩემი სიდედრი ნიანგს ასეირნებს. აბა წარმოიდგინეთ, ეს დაკრეჭილი კბილები, მოჭუტული თვალები და ზიზღიანი გამოხედვა, ცივი ხორკლიანი კანი!!!

– ჰოო. მართლაც საშინელია.

– დაიცადეთ, ჯერ ნიანგზე არაფერი მითქვამს...

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## ნიკოლოზ წულუკიძე: „ჩემთვის ეს არის განცდა, რომ თითქოს პირველად გხვდებით“



ნიკოლოზ წულუკიძე ტელეეთერს დაუბრუნდა და მაყურებელს გადაცემა „იმედის დღიდან“ მიესალმა:

– ჩემთვის ეს არის განცდა, რომ თითქოს პირველად გხვდებით. რთულია, მაგრამ აუცილებელი ჩემს მდგომარეობაში გამოვსულიყავი და მიმეცა მაგალითი ჩემი ოჯახის წევრებისათვის, რომ მათაც გააგრძელონ ცხოვრება.

რთულია, მაგრამ აუცილებელი, რომ გადავრჩეთ. ამ გადარჩენისთვის დიდი მადლობა უნდა გითხრათ თითოეულ თქვენგანს, იმიტომ, რომ ისეთი სიყვარული ვიგრძენი თქვენგან, ისეთი მხარში დგომა, იმედი და ძალა, რომ არ შემეძლო არ გამეგრძელებინა.

ვთხოვ ღმერთს, რომ მომცეს ძალა, დაგიბრუნოთ ის სიყვარული, სითბო, თანადგომა, რომელიც ასეთ რთულ დღეებში ჩემი ოჯახის მიმართ გამოიჩინეთ.

## მალხაზ ხარბედია: „იულონ გაგოშიძის გათავისუფლება სამარცხვინო ამბავია“



ასე ეხმაურება მწერალი მალხაზ ხარბედია მუზეუმიდან 86 წლის მეცნიერის იულონ გაგოშიძის გათავისუფლებას:

– იულონ გაგოშიძის გათავისუფლება სამარცხვინო ამბავია, იმის ნაცვლად, რომ მისი სახელობის სტიპენდიას უნიშნავდნენ ახალგაზრდა მკვლევარებს. ჩვეულებრივი უზრდელობაა, როცა ცოცხალი და ენერგიული ისტორიის დანახვა არ შეგიძლია.

ევროპა რატომაა მაგალითი?! ათასი გამო..რებული მოდის ხელისუფლებაში საფრანგეთშიც, გერმანიაშიც და ა.შ. მაგრამ მიმართულება არ იცვლება, კვლევებში, ბუნების დაცვაში, მემკვიდრეობაში, სოფლის მეურნეობაში და სხვ. მიდის და მიდის, აწვებიან ბოლომდე. პენსიონერად ვინც ვერ ხედავს თავის თავს, იმ ადამიანებს ყველაზე მეტი გაფრთხილება სჭირდებათ. ჩვენთან ეს წარმოუდგენელია. ჩვენთან თიბავენ.

## იმედა კახიანი 85 წლის გახდა



მსახიობი იმედა კახიანი იუბილარია. მას 85 წელი შეუსრულდა. ხელოვანი წელს ორმაგ იუბილეს აღნიშნავს – დაბადებიდან 85 და ქორწინებიდან 60 წლის იუბილეებს.

მისთვის განსაკუთრებული საჩუქარი არ არსებობს, გულით უხარია ყოველი სიტყვა, თუმცა იმ ათასობით მაყურებლის სიყვარულს, რომელსაც ყოველი ფეხის ნაბიჯზე გრძნობს, ვერაფერს შეადრის.

იმედა კახიანი თავის პროფესიაში გადადგმულ პირველ ნაბიჯებს ასე იხსენებს:

– დედას ძალიან უნდოდა, ექიმი გავმხდარიყავი. ქულა დამაკლდა. მეგობარმა, ნოდარ ფირანიშვილმა მირჩია, თეატრალურში ჩააბარეო. ის უკვე იქ სწავლობდა. ნოდარი, ვიდრე ჩააბარებდა, დრამწრეზე დადიოდა, მე კი ლექსიც არ წამიკითხავს გამოთქმით. საბუთების მიღების ბოლო დღე იყო, მეორე დღეს ტური იყო დანიშნული. სამი ტური ტარდებოდა: ლექსი, იგავი, პროზა უნდა წაგეკითხა. მერე გამოცდები იწყებოდა. მოვბრუნდით შინ და დავიწყეთ მომზადება. მოვძებნეთ მეხუთე კლასის ლიტერატურის წიგნი, რომელშიც ყველაზე პატარა ლექსი იყო „არწივი“ და თანაც ზეპირად ვიცოდი, ამიტომაც ეს ავირჩიეთ, კრილოვის ერთი იგავარაკი და ვაჟას „ამოდის, ნათდება“ მომამზადებინა ნოდარმა – რაც შეიძლება ვაჟკაცურად, ხმამაღლა წაიკითხეო.

მეორე დღეს შევედი აუდიტორიაში. პროჟექტორები მანათებს, სიღრმეში გრძელ მაგიდას უსხედან გამომცდელები. დაიწყეო. როგორც მასწავლა ნოდარმა, ისე დავჭექე! არავინ არაფერს მეუბნება. შუაში იჯდა მელოტი კაცი, თურმე დიმიტრი ალექსიძე, რომელსაც აჰყავს ჯგუფი.

რა წაიკითხე, თუ გესმისო. როგორ არა-მეთქი. მერე, არ შეგეცოდა არწივიო? დავფიქრდი, მეცოდებოდა ნამდვილად. თუ გეცოდება, რას ყვირი გაბრწყინებულიო. კარგი, ახლა უყვირლად წაიკითხეო. დავიწყე იგავი. დამავიწყდა. თავიდან დაიწყეო. დავიწყე, ისევ დამავიწყდა. გადადი პროზაზეო. ახლა პროზას როგორ მოვყვებოდი, წუხანდელ ნასწავლს. გამომიშვეს.

მეორე დღეს ჩავიარეთ თეატრალურ ინსტიტუტთან. სიაა გამოკრული. სიაში ვარ. კარგად რომ მოგამზადე ტურისთვის, გახვედიო, – მითხრა ნოდარმა. ამ დროს მოვიდა მიმღები კომისიის მდივანი და მკითხა, გინდა ამ ინსტიტუტში სწავლაო? ვგიჟდები, ისე მინდა-მეთქი. თუ გიჟდები, რატომ არაფერი მოამზადეო. გადაწყვიტეს, ტურებიდან მოგხსნან, თუ სწავლა გინდა, იარე ინსტიტუტში, მოგამზადებს პედაგოგი და მერე გახვალ გამოცდებზე. ოღონდ ეს არავინ გაიგოსო. ყოველ დილით ყოვლად უანგაროდ მამეცადინებდა რეჟისორი ასიკო გამსახურდია. გავედი გამოცდებზე და ჩავირიცხე.

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

## ასტროპროგნოზი



### 27 მაისისათვის

**ვერძი** – დღეს სამოგზაუროდ ნუ წახვალთ. ნებისმიერი ვოიაჟით უკმაყოფილო დარჩებით. სიზმარი, სავარაუდოდ, წინასწარმეტყველური იქნება. **კურო** – სოციალურ სფეროში ფართო პერსპექტივები ჩნდება. კეთილისმყოფელი დღეა სამომავლო გეგმების შესამუშავებლად. **ტყუპები** – საოჯახო საქმეების მოგვარება დაუყოვნებლივ დაიწყეთ. მამაკაცები ფინანსებს გაუფრთხილდით. **კირჩხიბი** – დასვენება გჭირდებათ. ოჯახში მშვიდი ატმოსფეროა. ბავშვებთან ურთიერთობა სიამოვნებას მოგანიჭებთ. **ლომი** – ცვლილებების დროა. ელოდეთ როგორც პოზიტივს, ისე – ნეგატივს. ნუ იაქტიურებთ. **ქალწული** – პასიური დღეა. ნუ გარისკავთ, განსაკუთრებით – ფინანსური კუთხით. **სასწორი** – ნებისმიერი საქმიანი კონტაქტი იღბლიანია. გელით რომანტიკული შეხვედრა. **ღრიანკალი** – გარშემომყოფებთან ურთიერთობაში უფრო დამთმობი და მოსიყვარულე უნდა იყოთ. თქვენს მდგომარეობას ბოროტად ნუ გამოიყენებთ. **მშვილდოსანი** – მშვენიერი დღეა საყიდლებზე წასასვლელად. ზუსტად იმ ნივთს შეიძენთ, რომელიც ძალიან გამოგადგებათ. **თხის რქა** – ფულს იოლად ნუ დახარჯავთ. მხოლოდ აუცილებელი ნივთი შეიძინეთ. მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მისაღებად არაკეთილისმყოფელი პერიოდია. **მერწყული** – ხელმძღვანელობა თქვენი მუშაობით კმაყოფილია. ნუ მოდუნდებით. ქებამ არ გაწყინოთ. **თევზები** – გადაღლილი ხართ. დაისვენეთ და ძალები აღიდგინეთ. ოჯახის წევრებთან კომპრომისზე წასვლა მოგიწევთ.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

## კროსვორდი ა

**შვეულად:** 1. გამომწვარი თაბაშირი; 2. საწვავი სითხე; 3. მხარე ავსტრიაში; 4. მინერალი, ნახევრად ძვირფასი ქვა; 5. ამერიკელთა მეტსახელი ლათინურ ამერიკაში; 11. ეგვიპტის ნაკრებისა და „ლივერპულის“ ფეხბურთელი; 12. სახელმწიფო არაბეთის ნახევარკუნძულზე; 14. სპირტიანი სასმელების მწარმოებელი ქართული ფირმა; 16. რძის შაქარი; 17. ირანელი ჯარისკაცი; 19. გერმანელი მიკრობიოლოგი, ვისაც პირველს მიენიჭა ნობელის პრემია მედიცინის დარგში; 21. ქიმიური ელემენტი, მწვავე სუნის მქონე, რუხი-მოწითალო ფერის სითხე; 22. კურკოვანი ხილი.

**თარაზულად:** 6. ჩასაბერი მუსიკალური ინსტრუმენტი; 7. უმაღლესი თანამდებობის პირი ძველ რომში; 8. ამერიკელ მწერალ, სამუელ კლემენსის ლიტერატურული ფსევდონიმი; 9. თურქული აბანო; 10. საბაჟოგამშვები პუნქტი სტეფანწმინდის რაიონში; 13. იტალიის პრემიერ-მინისტრი; 15. შავყურძნოვანი ვაზის ქართული ჯიში; 18. ერთუჯრედიანი მიკროსკოპული ორგანიზმი; 20. ქართული ლუდი; 21. ცხვრისბეწვიანი ტყავისგან შეკერილი ქუდი; 23. ორკორპუსიანი გემი; 24. სამონასტრო კომპლექსი ადიგენის რაიონში.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*

